აგვისტო-სექტემბერი 2018 №10

ქართული პარი

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ – ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

ღირსეული პარტნიორი 2018

გვ.2

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წელი გავიდა...

გვ.4

27 სექტემბერი – სოხუმის დაცემის დღე

გვ.7

„ძლიერთა თამაშები 2018“ იწყება წინ გამარჯვებისკენ!

გვ.10

„დიდგორი მეომარი“- ახალი ქართული მრავალფუნქციური ჯავშანმანქანა

გვ.8

უძლეველობის მითი რუსეთის პროპაგანდისტულ ნარატივში

გვ.12

შეუერთდი შეიარაღებული ძალების რიგებს! » გვ.9

ღირსეული პარტნიორი 2018

პირველი აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით ვაზიანში მსოფლიოს სხვადასხვა ადგილიდან სამხედროებმა მოიყარეს თავი. 13 ქვეყანა და 3000-ზე მეტი ჯარისკაცი, ამერიკული საბრძოლო ავიაცია და ჯავშანტექნიკა, გერმანული საბრძოლო ჯავშანმანქანები და ქართული საბრძოლო აღჭურვილობა, ვაზიანში პირველად აფრენილი აშშ-ის შემტევი შვეულმფრენი „აპაჩი“... მრავალეროვნული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2018“ საქართველოში უკვე მეოთხედ ჩატარდა.

„ღირსეული პარტნიორი 2018-ის“ დაწყება თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ საქართველოს მოსახლეობას საინფორმაციო ბრიფინგით აუწყა. ამიტომ თითქმის არავისთვის მოულოდნელი არ იყო როდესაც ამერიკულმა საბრძოლო ჯავშანმანქანებმა „სტრაიკერებმა“ ფოთიდან თბილისკენ მარშით გადაადგილება დაიწყეს. რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წლის შემდეგ ომის დროს დაბომბილ ქალაქში ამერიკელმა სამხედროებმა მეგობრობის ნიშნად მოსახლეობასთან შეხვედრაც გადაწყვიტეს. გორის მოსახლეობაც მოკავშირეების შემოსვლას საგანგებოდ მომზადებული დახვდა. ეს იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ მალე ვაზიანში, ნორიოში და მუხროვანში უპრეცედენტოდ დიდი სამხედრო სწავლება დაიწყებოდა. თუმცა, სანამ სწავლების მიმდინარეობის მნიშვნელოვან დეტალებს შეიტყობთ, გაგაცნობთ რას წარმოადგენს „ღირსეული პარტნიორი 2018“.

ღირსეული პარტნიორი 2018

მრავალეროვნული სწავლება საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და აშშ-ს არმიის ევროპული სარდლობის ლიდერობით განხორციელდა. წვრთნებს სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდალი, ბრიგადის გენერალი შავლეგო ტაბატაძე ხელმძღვანელობდა. შავლეგო ტაბატაძე ამჟამად იმერეთის რეგიონში რწმუნებულ-გუბერნატორის თანამდებობას იკავებს.

მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებაში „ღირსეული პარტნიორი 2018“ ნატოს წევრი და პარტნიორი 13 ქვეყანა მონაწილეობდა: **საქართველო, აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ესტონეთი, საფრანგეთი, ლიეტუვა, პოლონეთი, ნორვეგია, თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და სომხეთი.** „ღირსეული პარტნიორი 2018“-ის მიზანი საქართველოს, აშშ-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის მზადყოფნის და თავსებადობის ამაღლება, ასევე, სტაბილურობის, თავდაცვით და შეტევით ოპერაციებში უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და შავი ზღვის აუზში უსაფრთხოების გარემოს შექმნაში წვლილის შეტანა წარმოადგენდა. სწორედ ამიტომაც, სწვალების მთავარი გზავნილია - „ძალა პარტნიორობაშია“. წვრთნების სცენარი ითვალისწინებდა სამეთაურო-საშტაბო და საველე სწავლებებს საბრძოლო სროლებით, სამანევრო და საბრძოლო მხარდამჭერი ელემენტების ურთიერთქმედებას თავდაცვით და შეტევით ოპერაციებში.

სწავლებაში მონაწილეობდა შემდეგი სახის სამხედრო ტექნიკა

- ✧ აშშ საბრძოლო ვერტმფრენი AH-64 „აპაჩი“
- ✧ აშშ ძირითადი საბრძოლო ტანკი „აბრამსი“
- ✧ აშშ ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ბრედლი“
- ✧ აშშ 155 მმ-იანი ჰაუბიცა
- ✧ აშშ საბრძოლო ვერტმფრენი „შავი ქორი“
- ✧ აშშ სამედიცინო საევაკუაციო ვერტმფრენი „შავი ქორი“
- ✧ აშშ საბრძოლო ჯავშანმანქანა „სტრაიკერი“
- ✧ აშშ ჯავშანმანქანა „ჰამერი“
- ✧ გერმანული ქვეითთ საბრძოლო მანქანა „მარდერი“
- ✧ გერმანული საბრძოლო ჯავშანმანქანა „დინგო“
- ✧ ქართულ შეიარაღებაში არსებული ტანკი „ტ-„72“
- ✧ ქართულ შეიარაღებაში არსებული ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ქ.ს.მ.-2“
- ✧ ქართული საბრძოლო ჯავშანმანქანა „დიდგორი“
- ✧ ქართულ შეიარაღებაში არსებული 155 მმ-იანი ჰაუბიცა „მსტა“
- ✧ ქართულ შეიარაღებაში არსებული ვერტმფრენი UH1H („იროკეზი“)

სწავლების გახსნის ცერემონიალი

პირველ აგვისტოს ჟურნალისტები ვაზიანის სამხედრო აეროდრომის შესასვლელთან დავპატიჟეთ. აუცილებელი აკრედიტაციის გავლის შემდეგ კი ყველა ერთად ასაფრენ ბილიკზე მოწყობილ სპეციალურ ადგილზე მივედით. 13 ქვეყნის სამხედროებს შორის ქართველი მებრძოლები

ამაყად აფრიალებდნენ მე-12 ბატალიონის დროშას. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ მრავალეროვნული სწავლების „ღირსეული პარტნიორი 2018“ გახსნის ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას საერთაშორისო სწავლებების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„საერთო ღირებულებების დასაცავად და რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად, გლობალური უსაფრთხოების გაძლიერება ჩვენი პარტნიორობის ქვაკუთხედია. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოსთვის და მთლიანად რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესია მსგავსი ტიპის საერთაშორისო სწავლებები, რომლებიც ურთიერთანამშრომლობის გაღრმავებისა და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაზრდასთან ერთად, კიდევ უფრო გვაახლოებს ნატოს სტანდარტებთან“, - აღნიშნა ლევან იზორიამ.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, 2015 წლიდან, აშშ და საქართველო, ყოველწლიურად, ერთ-ერთ ყველაზე ფართომასშტაბიან მრავალეროვნულ სწავლებას ახორციელებენ, რომელიც აშშ-ის ევროპული სარდლობის ორგანიზებით შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე 17 სწავლებათაგან ერთ-ერთია: **„სწავლებათა ციკლი შავი ზღვის რეგიონის 7 ქვეყნის ტერიტორიაზე იმართება და მათში ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების 40,000-მდე სამხედრო მოსამსახურეა ჩართული. ქართველმა სამხედროებმა უკვე მიიღეს მონაწილეობა გერმანიასა და უკრაინაში გამართულ საერთაშორისო სწავლება „DYNAMIC FRONT“, „COMBINED RESOLVE“ და „SEA BREEZE“ - ში, ხოლო აგვისტოსა და სექტემბერში მონაწილეობას მიიღებენ გერმანიაში, ბულგარეთში, რუმინეთსა და უკრაინაში დაგეგმილ 4 საერთაშორისო სწავლებაში: „PLATINUM LION“; „PLATINUM EAGLE“; „RAPID TRIDENT“; „SABER JUNCTION“ - აღნიშნა ლევან იზორიამ.**

გახსნის ცერემონიალმა წარმატებით ჩაიარა და სწავლების აქტიური ფაზა დაიწყო.

საველე მეცადინეობები

საველე მეცადინეობები საბრძოლო სროლებით დაიწყო. მომზადების ამ ეტაპზე მონაწილე ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებმა სხვადასხვა ტიპის შეიარაღებიდან საბრძოლო სავარჯიშოები შეასრულეს. „სტრაიკერების“ პარალელურად ქართული ქვეითთა საბრძოლო მანქანები პირობით მოწინააღმდეგეს ანადგურებდნენ. პოლიგონის მეორე მხარეს ბრიტანელი და ქართველი ქვეითები ტყვიამფრქვევებიდან და ავტომატური შაშხანებიდან ისროდნენ. კიდევ სხვა ადგილას კი უკრაინელები და აზერბაიჯანელები ვარჯიშობდნენ. სხვადასხვა სახის მომზადებას სწავლებაში ჩართული ყველა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურე გადიოდა.

საბრძოლო სროლების შემდეგ კომბინირებული სწავლებების ჯერი დადგა. კომბინირებული სწავლებაა, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები ერთ საბრძოლო ამოცანას გეგმავენ და ერთობლივად ასრულებენ. კომბინირებული ამოცანების თემატიკას პირობითი მოწინააღმდეგისგან დაკავებული დასახლებული პუნქტის გათავისუფლება წარმოადგენდა. სწავლებაში გამოყენებული იყო სხვადასხვა ტიპის ჯავშანტექნიკა, ამერიკული „ბრედლები“, გერმანული „მარდერები“ და საბრძოლო ავიაცია, რომელიც თავდაპირველად აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის „შავი ქორებით“ იყო წარმოდგენილი. კომბინირებული სწავლებების პარალელურად, ავიაციის დახმარებით, ნორიოში სხვა ტიპის სამხედრო ოპერაციები ხორციელდებოდა. იყო სამედიცინო სწავლებებიც. პირობითად დაშავებული სამხედროს საველე ჰოსპიტალში ტრანსპორტირება და იქ კვალიფიციური სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

„აპაჩი“ ქართულ ცაში

„ღირსეული პარტნიორი 2018“ წინა წლის სწავლებებისგან მრავალი სიახლით გამოირჩეოდა. ერთ-ერთი ასეთი სიახლე აშშ-ის არმიის შემტევი შვეულმფრენი AH-64 იგივე „აპაჩი“ იყო. აპაჩები წვრთნებში საჩვენებელ სწავლებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩაერთვნენ. ერთ-ერთი ასეთი კომბინირებული სწავლება მედიის საშუალებითაც გაშუქდა. 13 აგვისტოს ვაზიანის მე-11 სასროლეთზე AH-64 „აპაჩის“ ტიპის ვერტმფრენებმა კომბინირებულ საბრძოლო სროლებში მიიღეს მონაწილეობა. ქართულ და ამერიკულ ჯავშანტექნიკას საბრძოლო ვერტმფრენებმა ახლო საცეცხლე მხარდაჭერა აღმოუჩინეს.

სწავლებაში მონაწილეობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებული ბრიგადის ჯავშანტექნიკა, აშშ-ის II საკავალერიო პოლკის საბრძოლო ჯავშანმანქანა „სტრაიკერები“, ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ბრედლები“ და „აბრამსის“ ტიპის ტანკები. პირობითი მოწინააღმდეგის მიმართულებით ცეცხლი ყველა სახის შეიარაღებიდან გაიხსნა. ამ ისტორიულ მოვლენას საცეცხლე პოზიციასთან ახლოს მდებარე მაღლობიდან ვაკვირდებოდით. ამერიკულმა საბრძოლო შვეულმფრენებმა საბრძოლო სროლები რამდენიმე დღის განმავლობაში გააგრძელეს.

სწავლების დასასრული

15 აგვისტოს ვაზიანში მე-11 პოლიგონზე დახურვის საზეიმო ცერემონიალისადმი მიძღვნილი საჩვენებელი სწავლებისთვის შევიკრიბეთ. სწავლებაში მონაწილე ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებულმა მრავალეროვნულმა ქვედანაყოფმა „გაერთიანებული საბრძოლო სროლების სავარჯიშო“ შეასრულა. სწავლების ამოცანა ქვედანაყოფის მიერ რაიონული თავდაცვის განხორციელება იყო, რათა ბრძოლაში ჩართვის არეალში პირობითი მოწინააღმდეგე დაემარცხებინა და დივიზიისთვის კონტრშეტევის განხორციელების შესაძლებლობა მიეცა.

საჩვენებელ სწავლებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია და აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის გაერთიანებული შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი რეჯინალდ ნილი დაესწრნენ. მე-11 პოლიგონზე იმყოფებოდნენ ასევე, საქართველოს საკანონმდებლო და ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის სამხედრო ატაშეები და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ძირითადი ჯგუფის ექსპერტები.

წელს საჩვენებელ სწავლებაში ქართველმა სამხედროებმა პირველად გამოიყენეს ტანკსაწინააღმდეგო გადასატანი კომპლექსი „ჯაველინი“. საჩვენებელ წვრთნაში ასევე, მონაწილეობდა ამერიკული საბრძოლო ვერტმფრენები AH-64 „აპაჩი“.

საჩვენებელი საბრძოლო სროლების დროს ქართველ, გერმანელ და ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს საცეცხლე მხარდაჭერა გერმანულმა ქვეითთა საბრძოლო მანქანამ „მარდერი“, ამერიკულმა საბრძოლო ჯავშანმანქანამ „სტრაიკერი“, ქართულ შეიარაღებაში არსებულმა T-72 ტანკებმა და ქვეითთა საბრძოლო მანქანებმა აღმოუჩინეს. გაერთიანებულ საბრძოლო სროლებში საარტილერიო და საინჟინრო დანაყოფებიც მონაწილეობდნენ.

წელს „ღირსეული პარტნიორი“ იმითაც იყო გამორჩეული, რომ მედიის წარმომადგენლებს მაქსიმალურად მიეცათ შესაძლებლობა საველე მეცადინეობები ახლოდან გაეშუქებინათ. წვრთნების დროს ფართო პრაქტიკაში პირველად დამკვიდრდა მიმაგრებული ჟურნალისტის პრინციპი, ანუ როდესაც რეპორტიორი სამხედრო ოპერაციის რაიონში, ჯარისკაცებთან ერთად გადაადგილდება და საკუთარ პროფესიულ მოვალეობას ასეთ სიტუაციაში ასრულებს.
„ღირსეული პარტნორი 2018“ მართლაც ღირსეულად დასრულდა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წელი გავიდა...

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წელი გავიდა... ტრადიციულად, გმირები მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გაიხსენეს.

ძმათა სასაფლაოზე პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიასთან და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებთან ერთად იმყოფებოდა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული სამხედროების ხსოვნას თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა პირებმა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა პატივი კიდევ ერთხელ მიაგეს. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირები დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებმა და თანამებრძოლებმა, ასევე მრავალეროვნული სამხედრო სწავლების „ღირსეული პარტნიორი 2018“ მონაწილე ქართველმა და უცხოელმა სამხედროებმაც გაიხსენეს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის მეათე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ადმინისტრაციულ შენობებზე, ასევე საქართველოს მასშტაბით არსებულ ყველა სამხედრო ბაზაზე აღმართული სახელმწიფო დროშები დაუშვეს.

აგვიტოს კვირეულის ფარგლებში, 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილე გიორგი აბრამიშვილის სახელობის სამხედრო ჰოსპიტალის სამედიცინო პერსონალის დაჯილდოების ღონისძიებაც გაიმართა. სამხედრო ჰოსპიტალის ექიმებს ღირსების ორდენი საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, თავდაცვის უწყებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი ვაჟკაცობის, თავდადებისა და პროფესიული მოვალეობის ღირსეულად შესრულებისთვის გადასცა. ღირსების ორდენები მიიღეს: ზაალ გაბაშვილმა (დაღუპვის შემდეგ), გიორგი გელდიაშვილმა, ვასილ გორგაძემ (დაღუპვის შემდეგ), დავით მაკარაძემ, ნინო ქადეიშვილმა (დაღუპვის შემდეგ), ნანული მაკრახიძემ და მედიკო მამუკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე და თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების, ძმებ გიორგი და გელა რომელაშვილების ოჯახშიც იმყოფებოდნენ.

„ქალბატონმა ნანულიმ და ბატონმა მურაზმა საქართველოს აღუზარდეს გმირი შვილები. როგორც ნანი და მარიამი, ჩვენი გმირების შვილები, ამაყობენ მამების გმირული თავდადებით, ასევე ვამაყობთ თითოეული ჩვენგანი. სწორედ, ასეთ ოჯახებზე დგას ქართული სახელმწიფოებრიობა და, დარწმუნებული ვარ, მათი თავგანწირვა მომავალ თაობას აუცილებლად მოუტანს შედეგს, რომ ვიცხოვრებთ ერთიან, ძლიერ და მშვიდობიან საქართველოში!“ - აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის წარმომადგენლებმა IV მექანიზებული ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპული ჯარისკაცების მემორიალი გვირგვინით შეამკეს. ღონისძიებას მრავალეროვნულ სწავლებაში „ღირსეული პარტნიორი 2018“ მონაწილე ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები დაესწრნენ. ქართველმა და უცხოელმა სამხედროებმა 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნის პატივსაცემად IV მექანიზებული ბრიგადის ტერიტორიაზე 4-კილომეტრიანი გარბენიც მოაწყეს.

საქართველოს ისტორიის ამ ურთულეს პერიოდს ასახავს ფოტოგრაფ დინა ოგანოვასა და მწერალ სალომე ბენიძის ფოტოწიგნი - „SHEROes“.

გამოცემის პრეზენტაცია და ფოტოგამოფენა, აგვისტოს კვირეულის ფარგლებში, „სილქ ფაქტორი სტუდიოში“ გაიმართა. ღონისძიება საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი პირები, ასევე 2008 წლის ომში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების წევრები დაესწრნენ.

გამოცემა ომის სამოქალაქო გმირების ამბავია. წიგნში გადმოცემულია იმ ქალთა ისტორიები, რომლებმაც აგვისტოს ომის დროს არ დატოვეს სახლები, იხსნეს არაერთი ადამიანის სიცოცხლე, დაკარგეს ახლობლები და, მიუხედავად ამ ტრაგედიისა, ცხოვრების თავიდან დაწყება შეძლეს.

თბილისში ფოტოწიგნის პრეზენტაცია თავდაცვის სამინისტროს, გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ და საქართველოში ქალთა ფონდის თანამშრომლობით ჩატარდა. ავტორები „SHEROes“ საზოგადობისათვის გაცნობას საქართველოს მასშტაბით და ქვეყნის საზღვრებს გარეთ გეგმავენ.

2008 წლის ათი წლისთავთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ სოციალურ გვერდზე განთავსდა ვიდეორგოლი - „ათი წლის შემდეგ...“ ვიდეორგოლში საუბარია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების, საერთაშორისო მხარდაჭერის, მსოფლიო მშვიდობის საქმეში საქართველოს როლისა და მომავლის რწმენის შესახებ.

1984-2008 და... მარადისობა

18 აგვისტო საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის დაბადების დღეა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მისი გმირული დაღუპვის ისტორია ჩვენში დიდმა და პატარამ იცის...

საქართველოს შეიარაღებული ძალების უმცროსი სერჟანტი გიორგი ანწუხელიძე 9 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში ერთ-ერთი შეტაკების შემდეგ მოწინააღმდეგეს ტყვედ ჩაუვარდა. 2008 წლის ნოემბრამდე სამხედრო მოსამსახურე უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნეოდა. მოგვიანებით, ცხინვალიდან გადმოსვენებული ათი ქართველის ცხედრისათვის ჩატარებული გენეტიკური ექსპერტიზით დადგინდა, რომ ერთ-ერთი მათგანი გიორგი ანწუხელიძე იყო.

სამხედრო მოსამსახურის გმირობის ისტორია თავად მოწინააღმდეგის სატელეფონო ვიდეოჩანაწერებით გამჟღავნდა. 2009 წლის იანვარში ინტერნეტით გავრცელდა ვიდეოები, სადაც მისი წამების კადრები იყო ასახული. ტყვედ ჩავარდნილი გიორგი ანწუხელიძე წამებისა და დაკითხვის შემდეგ, ცხინვალის მეხუთე სკოლასთან, ძმათა სასაფლაოზე ცემით მოკლეს. 23 წლის ასაკში იწყება გმირი გიორგი ანწუხელიძის სიცოცხლე...

> გმირის სიცოცხლის გაგრძელებაში, პირველ რიგში, მისი ოჯახი - შვილები - ლევან და ანა ანწუხელიძეები, მეუღლე მაკა ჩიკვილაძე იგულისხმება. გიორგის გარდაცვალებიდან მშობლები რამდენიმე წელში დაეღუპა.

აგვისტოს ომის დროს ლევანი ათი თვის იყო, ხოლო ანა მამის დაღუპვიდან შვიდი თვის შემდეგ დაიბადა. მამაზე მოსაყოლი შვილებს ის აქვთ, რაც თითოეულმა ჩვენგანმა მოვუყევით, როგორც აღვიქვით და დავაფასეთ ჩვენი ქვეყნისათვის თავდადებული გმირი.

დედისგან იციან, რომ - „ის თუში ვაჟკაცი იყო“. გიორგის მეუღლე ამბობს, რომ ორწლიანი თანაცხოვრების პერიოდში თუშეთში მხოლოდ ერთხელ სტუმრობა მოასწრო. ის მშობლიურ კუთხეში ახლა შვილებთან ერთად ხშირად ჩადის.

გიორგის ოჯახი თუშეთში დაესწრო დალაობის რიტუალსაც, სადაც კუთხის ტრადიციებზე გაზრდილი მებრძოლი ადგილობრივებმა მოიგონეს. „თუშების სადროშომ“ გიორგი ანწუხელიძეს თუში სახალხო გმირის წოდება 2013 წელს მიანიჭა. ქვემო ალვანში საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის მემორიალიც გაიხსნა.

გიორგი ანწუხელიძე გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (2009 წ.), ასევე თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“ (2011 წ.) დაჯილდოვდა. 2013 წელს ქართველ სამხედრო მოსამსახურეს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

თავდაცვის უწყებამ კოჯრის სერჟანტთა აკადემიას 2013 წლიდან ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელი მიანიჭა. სკოლისათვის გმირის სახელის მინიჭების ერთ-ერთი ინიციატორი შეიარაღებული ძალების ვიცე-პოლკოვნიკი ლაშა დავითაძე იყო. ოფიცერი ამბობს, რომ იმ სერჟანტებს, რომლებსაც აკადემიაში სწავლა სურთ, მაღალი სტანდარტი აქვთ დასახული. „ის, რომ ეროვნული გმირის სახელობის ქვედანაყოფში სწავლობ, არ მოგცემს უფლებას, ეს მაღალი თამასა დასწიო,“ - აღნიშნა მან.

> ლევან ანწუხელიძე სერჟანტთა აკადემიის ხშირი და საპატიო სტუმარია. აქაც, თუშეთშიც, საქართველოში, ყველგან, სადაც კი მიდის, ამაყად ამბობს, რომ ის გიორგი ანწუხელიძის შვილია.

„უპირველესად ღმერთის შეწევნით ჩამოყალიბებული გრძნობაა სამშობლოსა და ერის სიყვარული, მისთვის თავდადების ამაყი წადილი. პატრიოტიზმი არ ისწავლება, იგი დაბადებისთანავე ინერგება ადამიანის ფსიქიკაში,“ - მწერლის ამ სიტყვებს სიცხადეს მატებენ გმირის წამების კადრებში ქართველი ჯარისკაცის სიმტკიცისა და გაუტეხლობის გამო გაოცებული მოწინააღმდეგეები.

გიორგი ანწუხელიძის ჯარისკაცის ცხოვრება დაიწყო 2003-2004 წლებში სამხედრო სავალდებულო სამსახურით, რომელიც მან შინაგანი ჯარების პირველ ოპერატიულ ბრიგადაში გაიარა. ის 2004 წელს მონაწილეობდა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში. 2005 - 2006 წლებში II ქვეითი ბრიგადის, 21-ე ბატალიონში მსახურობდა. 2005 -2006 წლებში ის სამშვიდობო მისიით ერაყის რესპუბლიკაში იმყოფებოდა. ერაყიდან დაბრუნებულს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებება მოუხდა. 2008 წლის 17 აპრილიდან შეიარაღებულ ძალებს დაუბრუნდა და IV ქვეითი ბრიგადის, 41-ე ბატალიონის შემადგენლობაში ჩაირიცხა.

გიორგი ანწუხელიძე მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე განისვენებს. მისი საფლავის ქვაზე მითითებულია დაბადებისა და დაღუპვის თარიღები - 1984-2008... ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სიცოცხლე დროის ამ შუალედს გასცდა და მარადისობას ეზიარა.

შინდისის გმირები

2008 წლის რუსეთ-საქართველოს უთანასწორო ბრძოლის დროს, უამრავი გმირის ისტორია დაიწერა, თუმცა შინდისის ეპიზოდი ერთ-ერთი გამორჩეულია.

2008 წლის 11 აგვისტოს, სენაკის მეორე ქვეითმა ბრიგადამ უთანასწორო ბრძოლა გაუმართა რუსეთის 58-ე არმიის მოტომსროლელთა ასეულს. შინდისელების გადმოცემით, შეტაკებამდე 2 საათით ადრე რუსული ტანკები სოფელში ქართული დროშებით გამოჩნდნენ და შინდისის რკინიგზის სადგურთან ჩასაფრდნენ. სავარაუდოდ, მოწინააღმდეგემ იცოდა, რომ გზაზე ქართველ სამხედროებს უნდა გაევლოთ. სენაკის ბატალიონის მიახლოებისთანავე ააფეთქეს პირველი და ბოლო მანქანები, ჩაკეტეს გასასვლელებიც.

ყველაფერი აქ რომ დამთავრებულიყო, აგვისტოს ომის ამ ეპიზოდში განსაკუთრებული, ალბათ, არაფერი იქნებოდა. შინდისის ბრძოლა ისტორიაში როგორც ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაცია შევიდოდა, მაგრამ ამ ამბავს გმირული, თუმცა მეტად მძიმე გაგრძელება აქვს. ასეულის მებრძოლთა შემადგენლობიდან დაახლოებით 15-მა ჯარისკაცმა ბრძოლას თავი არ აარიდა. მსგავსი მცირე რაზმის ბრძოლა რიცხობრივად ბევრად აღამატებულ მტერთან, რომელსაც დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკა, მსხვილკალიბრიანი იარაღი აქვს და წინასწარ მომზადებული პოზიციიდან იბრძვის - სხვა არაფერია თუ არა შეგნებული თავგანწირვა.

არსებულმა ვითარებამ ქართველი მებრძოლები არ დააბრკოლა. ისინი მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ შენობებში, ზოგიც ღია ველზე გამაგრდა და მტერს სამკვდრო-საცოცხლო ბრძოლა გაუმართა. ამ ბრძოლაში თორმეტი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, სამი დაიჭრა და უგონო მდგომარეობაში მყოფნი ადგილობრივმა მოსახლეობამ ტყეში მანამდე გაიყვანა, სანამ რუსები მიაგნებდნენ.

რევაზ ხუციშვილი - სოფელ შინდისის ადგილობრივი მკვიდრი:

„11 აგვისტოს ჩემი მეუღლის დაბადების დღეა. სადღესასწაულო განწყობა არც ოჯახში, არც სოფელში, ზოგადად, ქვეყანაში არავის ჰქონია. თუმცა ტრადიცია არ დავარღვიეთ და თითო ჭიქა ღვინო დავლიეთ. სუფრაზე არსებული სიჩუმე ყველას გვაშინებდა და მტრის მიმართ აგრესიას გვიმძაფრებდა. სიჩუმეში მხოლოდ იარაღის სროლის ხმა ისმოდა. მე და ჩემი მეზობლები მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით - თუ შეგვეძლო და როგორ შეგვეძლო ისე ამოვდგომოდით ჩვენს ჯარისკაცებს გვერდში. იარაღი არ გვქონდა. სანადირო თოფები მოვიკიდეთ მხრებზე და სახლებიდან გამოვედით. გზად ქართველი სამხედროებით სავსე მანქანა შეგვხვდა. ბიჭებს დახმარება დაკარგული თანამებრძოლების პოვნაში სჭირდებოდათ. ერთმანეთს ვარიანის მეურნეობასთან შეტაკების დროს დაშორებულან. ნაწილი დასავლეთის მხარეს წავიდა, ნაწილი კი სოფელ ახალდაბას მიმართულებით. 8 სამხედრო მოსამსახურიდან 4 დაჭრილი იყო. მე და ჩემი თანასოფლელები ქართველ სამხედროებთან ერთად ბიჭების მოსაძებნად ტყეში მოკლე გზით გადავედით. ვიპოვნეთ... გორის სამხედრო ჰოსპიტალის მანქანამ ევაკუაციის გამოცხადებამდე მოასწრო მოსვლა. ბიჭები მანქანაში ჩავსვით და საავადმყოფოში გადავიყვანეთ. სამედიცინო მანქანის დაძვრიდან რამდენიმე წუთში ევაკუაციაც გამოცხადდა. სამწუხაროდ, კაპრალი ოთარ კალმახელიძის სამედიცინო პუნქტამდე მიყვანა ვერ შევძელით. ამიტომ ჩემმა ბიძაშვილმა, ახმეტ ხუციშვილმა კაპრალი სახლში წაიყვანა და ოჯახში უვლიდა. საბედნიეროდ, კალმახელიძე მაშინ გადარჩა.

სახლში დაბრუნებულემა ჩავთვალეთ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის კიდევ შეგვეძლო რამის კეთება. ინსტინქტებს ბრმად მივყვებოდით. გადავწყვიტეთ, ჩვენი ჯარისკაცების მიერ სოფელში დატოვებული იარაღი, ტყვია-წამალი და სამხედრო მანქანები მოგვეგროვებინა, რათა მტერს არ წაეღო ან არ გაენადგურებინა. ვხედავდით, როგორ ანადგურებდნენ ჯავშან-ჟილეტებს... ჩვენი ტრაქტორებით სოფელში ჩიხიდან ჩიხში დავდიოდით და ჩვენს სამხედრო ნივთებს ვაგროვებდით. მოგროვილ მასალას მეთაურის დახმარებით სამხედრო მანქანებში ვაწყობდით და სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადაში ვაგზავნიდით. ერთი სამხედრო მანქანა ჩემს ეზოში მქონდა დამალული.

ბიჭებთან, ვინც საბრძოლო მოქმედებების პერიოდში გავიცანით, ურთიერთობა დღემდე გვაქვს. **იცით რა მინდა ვთქვა? - მტერი ძლიერი იყო. ჩვენი ჯარი წინააღმდეგობას ღირსეულად უწევდა, ამას საკუთარი თვალებით ვხედავდი. თუმცა მგონია, რომ ჯარისკაცებზე არანაკლები პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ, ამ ქვეყანაში მცხოვრებ საზოგადოებას, რომ მხარში ამოვუდგეთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ბიჭებს და გავერთიანდეთ საერთო მტრის წინააღმდეგ. ვისაც რითი შეგვიძლია... ეს ხომ ჩვენი ვალია?!“**

რუსულ სამხედრო ნაწილთან უთანასწორო შეტაკების დროს 17 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა - ***ალექსანდრე ონიანი, ემზარ წილოსანი, ვეფხვია ჯიშკარიანი, ზვიად კაცაძე, თეიმურაზ ბერიძე, ილია გაბუნია, ილია შეყლაშვილი, ირაკლი ჯანელიძე, კახა კოშაძე, ლევან მელქაძე, მარლენ ბარამია, მიხეილ დვალიშვილი, ნიკოლოზ ფორჩხიძე, რომან ზოიძე, რუსლან წულაძე, ფელიქს კაკაურიძე და შმაგი კუპატაძე.***

11 აგვისტოს სოფელ შინდისში დაღუპულ გმირებს პატივი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაიჩიბაიამ მიაგეს. თავდაცვის მინისტრმა დაღუპული სამხედროების ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა და თანადგომა გამოუცხადა.

შინდიდის გმირების მემორიალის ტერიტორიაზე განთავსებულია სპეციალური ბანერი, რომელზეც 17 სამხედრო მოსამსახურის ხსოვნის უკვდავსაყოფად 17 ფიგურიანი პორტრეტული ძეგლის კომპოზიცია არის გამოსახული. ბრინჯაოს ძეგლის ასაგებად მილიონ ლარამდეა მობილიზებული. საქართველოს მთავრობამ 530 000 და თავდაცვის სამინისტრომ 400 000 ლარი გამოყო.

27 სექტემბერი - სოხუმის დაცემის დღე

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. აფხაზეთის ომიდან 25 წელი გავიდა. საქართველოს უახლესი ისტორიის ამ უმძიმეს დღეს მიეძღვნა ღონისძიება, რომელიც თავდაცვის სამინისტროს „არმიჰოლში“ გაიმართა. „თუ ჩვენ დღეს ვარსებობთ როგორც ერი, ეს, დიდწილად სწორედ გმირების დამსახურებაა, რომლებმაც შექმნეს ისტორიები და ეს ისტორიები ქმნიან ერის მეხსიერებას, იმ გენეტიკურ კოდს, რომელიც იყო გადარჩენის საფუძველი ისტორიულად და მომავალშიც იქნება ერის სიცოცხლისუნარიანობის მთავარი ძარღვი“ - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ აფხაზეთის ომის ვეტერანებთან შეხვედრისას. თავდაცვის მინისტრმა ვეტერანებს სამშობლოსათვის თავდადებისა და განსაკუთრებული ღვაწლისათვის მადლობა პირადად გადაუხადა.

ღონისძიებაზე, ასევე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კობა კობალაძე, ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი ვლადიმერ იმნაძე და გენერალი გიორგი ყარყარაშვილი. აფხაზეთის ომის ვეტერანებმა და მოწვეულმა სტუმრებმა 25 წლის წინ განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ გაიხსენეს და თავდაცვის მინისტრს ლევან იზორიას თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს.

ამავე დღეს თავდაცვის მინისტრმა, ვიცე-პრემიერ გიორგი გახარიასთან და მთავრობის წევრებთან ერთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო.

„დიდგორი მეომარი“ ახალი ქართული მრავალფუნქციური ჯავშანმანქანა

„დიდგორი მეომარი“ - ასე ეწოდება უახლეს ქართულ ჯავშანმანქანას, რომელიც სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა „დელტამ“ ფართო საზოგადოებას 2018 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სხვა უკვე კარგად ნაცნობ, ქართული წარმოების სამხედრო ტექნიკასთან ერთად წარუდგინა.

„მეომარი“ დიდგორის ტიპის ჯავშანმანქანების ოჯახის მორიგი მოდიფიკაციაა, თუმცა ის სრულიად ახალი კონცეფციის მიხედვით არის შექმნილი და განსხვავებული ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები გააჩნია, ეს კი ჯავშანდაცულობის, ერგონომიულობის და სავალი მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაში გამოიხატება.

სტატია სრულად „დიდგორი მეომარის“ შესახებ იხილეთ შემეგ ნომერში

რიგითი აბდულა ახმედოვი: ბავშვობიდან მინდოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მემსახურა

საქართველოს თავდაცვის უწყების გაზეთი „ქართული ჯარი“ ივლისის თვიდან აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე იბეჭდება. აღნიშნული ინიციატივა ეროვნული უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციასა და მხარდაჭერას უკავშირდება.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც მსახურობენ და საკუთარი წვლილი შეაქვთ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისა და უსაფრთხოების საქმეში. ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - ეროვნული ნიშნით თანასწორობის საკითხია. საქართველოს სახელმწიფოსთვის, რომელიც ეთნიკურად მრავალფეროვანი ქვეყანაა, მნიშვნელოვანია, ამ კუთხით თუ როგორ არის დაცული მისი მოქალაქეების უფლებები. საქართველოს სახელმწიფო ეროვნული უმცირესობების მიმართ ინტეგრაციულ პოლიტიკას ახორციელებს. აღნიშნულ პროცესში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მოქალაქეები თავადაც არიან ჩართულნი.

მათ შორის არის 27 წლის რიგითი აბდულა ახმედოვი, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზებულ ბრიგადაში საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს გადის. სამხედრო ფორმა ჯარისკაცმა პირველად სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოირგო. აბდულამ სამხედრო სავალდებულო სამსახური საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში გაიარა.

რიგითი ახმედოვი საკუთარ თავს საქართველოს შეიარაღებული ძალების დიდი ოჯახის ნაწილად მიიჩნევს. სამეთაურო რგოლი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მხარდაჭერაზეა ორიენტირებული და აბდულას, მცირედ შესამჩნევი, ენობრივი ბარიერიც საუბარში იკარგება. ჩვენი რესპონდენტი სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და მოქალაქეობრივი პოზიციით გამოირჩევა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საკუთარ რაიონში - გარდაბანში ჩასული რიგითი ახმედოვი ადგილობრივ ახალგაზრდებს შემოიკრებს ხოლმე და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის მნიშვნელობაზე ესაუბრება. „ბავშვობიდან მინდოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მემსახურა. საქართველოს შეიარაღებული ძალების დიდი ოჯახის ნაწილი ვარ. მეთაურები ეთნიკური ჯგუფის კულტურულ თავისებურებებს ითვალისწინებენ და რელიგიურ დღესასწაულებზე ჩემებთან ჩასვლის საშუალებაც მაქვს“, - ამბობს აბდულა. მისი თქმით, გარდაბანში ადგილობრივ აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს ჯარისკაცული ცხოვრება აინტერესებთ.

თავდაცვის სამინისტრო მიზნად თანასწორობის პრინციპებზე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ინტეგრაციას ისახავს, ახალგაზრდების განათლების დონის ამაღლებასა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს. უწყება საზოგადოების ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების როლის გაზრდასა და კარიერულ განვითარებაზე ზრუნავს. შეიარაღებულ ძალებში საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელები სამეთაურო რგოლშიც არიან დასაქმებულნი.

შეუერთდი შეიარაღებული ძალების რიგებს !

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მოქალაქეების მიღებას აგრძელებს. ოთხწლიანი საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის გავლა 35 წლამდე მოქალაქეებს შეუძლიათ. საბუთების მიღება წარმოებს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე, ქალაქ თბილისში, მხარდამჭერი ცენტრი „კრწანისის“ გაზისა და ქალაქ ქუთაისში, მესამე ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე.

595 05 06 85 / 595 05 06 73
ონლაინ რეგისტრაცია: onlinebct.mod.gov.ge

„ძლიერთა თამაშები 2018“ იწყება წინ გამარჯვებისკენ!

თემურ დადიანი, ონისე ჯუღელი, ლევან მიქავა, თენგიზ დიასამიძე, ალექსი ტაბატაძე, პაატა ჯიბუტი, ბესარიონ ღუდუშაური, ალექსანდრე ბერუაშვილი, ენვერ გიგლემიანი, მირიან მირიანაშვილი, მურთაზ ოსეფაიშვილი, დავით დარძული, კახაბერ ზირაქაშვილი, მანუჩარ ნაყიშაშვილი და გიორგი ჯაბახიძე - ამ შემადგენლობით თხუთმეტკაციანი დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების გუნდი „ძლიერთა თამაშები-2018“-ში მიიღებს მონაწილეობას. სპორტული ღონისძიება, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დაშავებული სამხედროები მონაწილეობენ, ავსტრალიაში, ქალაქ სიდნეიში ოფიციალურად 20-27 ოქტომბერს გაიმართება. ქართული გუნდის წევრები საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობებს სპორტის შვიდ სახეობაში - მშვილდოსნობა, იაგუარის რალი, ცურვა, ძალოსნობა (შტანგა), მძლეოსნობა (სირბილი), მჯდომარე ფრენბურთი და ნიჩბოსნობა ტრენაჟორზე გამოცდიან.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები „ძლიერთა თამაშებში“ უკვე მეოთხე წელია მონაწილეობენ. საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაზე მათ საქართველო არაერთხელ ასახელეს, სახელმწიფო დროშა არაერთხელ აღმართეს. გასულ წელს კანადაში ჩატარებულ საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაზე დაშავებულმა ქართველმა სამხედროებმა მჯდომარე ფრენბურთში ოქროს მედლებიც კი მოიპოვეს.

დაშავებული ქართველი სამხედროები ახალი გამოწვევებისთვის თავდაცვის სამინისტროს სპორტულ დარბაზში აქტიურად ემზადებოდნენ, როდესაც ვესტუმრეთ და რამდენიმე მათგანთან გასაუბრებაც მოვახერხეთ.

„ბაბუ“

ენვერ გიგლემიანი დაშავებულ სამხედროებთან ერთად 2015 წლიდან ვარჯიშობს. გუნდის წევრებს შორის ის ყველაზე უფროსია, ამიტომ 52 წლის თადარიგის პოლკოვნიკს თანამებრძოლები „ბაბუთი“ მიმართავენ. ენვერ გიგლემიანს ოთხი შვილი და ორი შვილიშვილი ჰყავს. მამის გზას აგრძელებენ უფროსი ლეიტენანტი იური, რომელიც ამჟამად კრწანისში ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) მსახურობს და შამილი, რომელიც დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩასაბარებლად ემზადება.

ენვერ გიგლემიანი

„შეიარაღებული ძალები დიდი ოჯახია, სადაც იცი, რომ ემსახურები საკუთარ საქმეს, რომელსაც სხვა ვერ გააკეთებს. ეს არის ერთგულება თანამებრძოლის, თანამოქალაქის, ქვეყნის...“ - გვეუბნება თადარიგის პოლკოვნიკი. ენვერ გიგლემიანის სამხედრო კარიერა 26 წელს ითვლის, არც წელია ცოტა და არც რაოდენობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გადახდილი ბრძოლებისა, რომლის მონაწილეც იყო. მან 1993 წელს აფხაზეთის ომში დავალების შესრულების დროს მარჯვენა ქვედა კიდურზე მძიმე დაზიანება მიიღო. დაშავებული სამხედრო, როგორც მეთაური, სამ თვეში ჯარისკაცებთან ერთად მწყობრში იდგა. შემდეგ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი იყო...

თადარიგში მყოფი ოფიცერი ამბობს, რომ დაშავებულ სამხედროებს თავდაცვის სამინისტრო საუკეთესო სარეაბილიტაციო პროგრამებს, მათ შორის, სპორტულ რეაბილიტაციას სთავაზობს. დაშავებული სამხედროების ფიზიკური მომზადებისთვის ყველა პირობაა შექმნილი. უწყება მათ ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზობებში ჩართულობასაც უზრუნველყოფს. სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში წარმატებული სამხედრო განსაკუთრებით გამოყოფს „ძლიერთა თამაშებს“, სადაც საქართველოს სახელით სამჯერ წარმატებით იასპარეზა.

კახაბერ ზირაქაშვილი

პაატა ჯიბუტი

გულშემატკივარი - დიანა

- „ძლიერთა თამაშებში“ ასპარეზობისას, ვინ იქნება თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი გულშემატკივარი?

- მეუღლე - დიანა.

ასე დაიწყო საუბარი კაპრალ კახაბერ ზირაქაშვილთან, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილეა. სამხედრო მოსამსახურე ჯარისკაცისთვის ოჯახის წევრთა თანადგომის მნიშვნელობას განსაკუთრებით აღნიშნავს. თავდაცის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს პოსტ-ტრავმულ პერიოდში ჯარისკაცის ფსიქორეაბილიტაციის საკითხებზე, სადაც ოჯახის წევრთა ჩართულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თავდაცვის უწყების წეროვანის სარეაბილიტაციო ცენტრში დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები ოჯახის წევრებთან ერთად გადიან რეაბილიტაციის პროცესს. წელსაც „ძლიერთა თამაშების“ მიმდინარეობისას ავსტრალიაში ქართული გუნდის სპორტსმენებს ოჯახის წევრები გაამხნევებენ.

„სამხედრო სამსახურში სამშობლო სხვაგვარად აღიქმება. აქ პატრიოტიზმს რეალურად განიცდი, ქვეყნის სადარაჯოზე საკუთარი სიცოცხლით დგახარ, მოკლედ, სიტყვებით კი არ შემოიფარგლები, საქმით ამტკიცებ,“ - გვეუბნება კახაბერ ზირაქაშვილი. მისი შეიარაღებულ ძალებში შესვლიდან ერთ წელში რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო. ომის შემდეგ მან რეაბილიტაციის სრული კურსი გაიარა და შეიარაღებულ ძალებში სამსახური საშტაბო საქმიანობით გააგრძელა. ამბობს, რომ სპორტში ჩართვის შემდეგ მისი ცხოვრება უფრო საინტერესო გახდა: „დღეს, მწვრთნელის გადაწყვეტილებით, საერთაშორისო დონეზე საქართველო უნდა წარვადგინო. ეს დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. საქართველოს გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, რა გამოგვივა არ ვიცით, მაგრამ ვემზადებით და დიდი მოლოდინი გვაქვს. „ძლიერთა თამაშებში“ მონაწილეობა ჩემთვის უკვე გამარჯვებაა, ცხოვრების მოტივაციაა, სხვისთვის კი, მაგალითია. ჩემი ოჯახი ჩემით ამაყობს“.

„წეროები მიფრინავენ“...

- „წეროები მიფრინავენ...
- საით?
- შორს.
- რამდენი?“ –

სპორტულ დარბაზში შეკრებილი „ძლიერთა თამაშების“ მონაწილეები სიცილს ვერ იკავებენ... სიცილს ვერ იკავებს უფროსი სერჟანტი პაატა ჯიბუტიც... რადგან ბავშვობისდროინდელ თამაშს დღეს ცალი ხელით ხვდება... „ასე დავცინით ცხოვრებისეულ ტრავმებს“, - ამბობს სამხედრო მოსამსახურე...

უფროსმა სერჟანტმა პაატა ჯიბუტმა მარცხენა ზედა კიდური 1993 წელს აფხაზეთის ომში დაკარგა. მაშინ ის 19 წლის იყო... რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან ჯერ გურული ბებიის სიტყვებმა გამოიყვანა, - იმათ მშობლებმა რა თქვან, ვისი შვილებიც ვეღარ დაბრუნდებიანო, შემდეგ კი, ისევ სამხედრო საქმემ. პაატა ჯიბუტი შეიარაღებულ ძალებში დაბრუნებას მეორედ დაბადებას ადარებს. საშტაბო სამხედრო საქმიანობის პარალელურად, ის აქტიურ სპორტულ ცხოვრებას ეწევა და ახლაც „ძლიერთა თამაშებში“ მესამედ მიიღებს მონაწილეობას. უფროსი სერჟანტი სპორტის სამ სახეობაში - სირბილი, ფრენბურთი, ნიჩბოსნობა - იასპარეზებს. „გვაქვს გამარჯვების მოლოდინი, სტიმული და მოტივაცია, რომ მაღალი შედეგებით დავბრუნდებით“, - ამბობს ის. პაატა ჯიბუტმა მეუღლე, ასევე უფროსი სერჟანტი, ნანა ოშხერელი შეიარაღებულ ძალებში გაიცნო, ჰყავს ორი შვილი - დაჩი და რატი.

ალექსი ტაბატაძე

ინდივიდუალური მოთამაშე

სპორტის ინდივიდუალურ სახეობაში - ძალოსნობაში (შტანგის აზიდვა) იასპარეზებს მასტერ-სერჟანტი ალექსი ტაბატაძე, ერაყის სამშვიდობო მისიაში 2006 წელს დაშავებული სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც უამრავი სპორტული მიღწევა აქვს. ის საქართველოს ორგზის ჩემპიონია პისტოლეტით სროლაში, ასევე 9 ქვეყანას შორის არის ძალოსნურ სროლაში მსოფლიო ჩემპიონი. „ძლიერთა თამაშებში“ 2016 წელს ქართულ გუნდს ხელმძღვანელობდა, ხოლო წელს ის პირველად მიიღებს მონაწილეობას, როგორც სპორტსმენი. თავს კარგ გუნდურ მოთამაშედ მიიჩნევს, თუმცა უპირატესობას ინდივიდუალურ შეჯიბრებებს ანიჭებს. „ჩემი ერთადერთი მოწინააღმდეგე საკუთარი თავია“, - გვეუბნება ის. ასე იყო, მაშინ ფიზიკურ ტკივილზე რომ გაიმარჯვა და სამხედრო საქმეს დაუბრუნდა... ახლაც, „ძლიერთა თამაშებისათვის“ ძალოსნობაში იასპარეზებს 72 კგ წონით კატეგორიაში, რისთვისაც მან სპეციალურად 24 კგ დაიკლო. „ვინ განსაზღვრა რამდენი უნდა გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისთვის?! სანამ შეგიძლია, უნდა ემსახურო ქვეყანას“, - აცხადებს ალექსი ტაბატაძე.

თენგიზ დიასამიძე

„ძლიერი ძლიერს ხვდება“

მძიმე სამედიცინო ისტორია წარსულში დარჩა, დღეს კაპრალი თენგიზ დიასამიძე „ძლიერთა თამაშები 2018“-ის მონაწილეა. „საერთაშორისო ასპარეზობაში ვმონაწილეობ იმ იმედით, რომ ქვეყანას კიდევ ერთი წარმატება მოვუტანო. ეს არის ჩემი მიზანი ამ ცხოვრებაში“, - გვეუბნება კაპრალი დიასამიძე. მან მძიმე დაზიანება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მიიღო. მრავალწლიანი მკურნალობის შემდეგ ჩაერთო პარანიჩბოსნობაში და საქართველოს სამგზის პირველობაც დაიმსახურა. ამჟამად „პარაკანოეს ფედერაციას“ ხელმძღვანელობს. თენგიზ დიასამიძე საკუთარ თავს სპორტის სხვა სახეობაშიც გამოცდის - „ძლიერთა თამაშებში“ ის პირველად მონაწილეობს მშვილდით სროლაში. მოწინააღმდეგის შესაძლებლობებსაც აფასებს და საერთაშორისო ასპარეზობა მიაჩნია ადგილად, სადაც ძლიერი ძლიერს ხვდება.

იმედია, ქართული გუნდის სხვა მონაწილეებთან ინტერვიუ საქართველოში გამარჯვებით დაბრუნების შემდეგ ჩაიწერება. „ძლიერთა თამაშებში“ წარმატებას ვუსურვებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებს!

ჩვენს უკან საქართველოა!

ცხოვრება ტრავმის შემდეგ

თვალი რომ დავხუჭოთ და წარმოვიდგინოთ, როგორი შეიძლება იყოს ჩვენი ცხოვრება მძიმე ფიზიკური ტრავმების შემდეგ, ალბათ შიში შეგვიპყრობს, უიმედობის და უსუსურობის განცდა. ამ დროს პირველი, რაც ადამიანს არსებულ მდგომარეობას შეუმსუბუქებს მხარდაჭერა და გვერდში დგომაა. რას ვაკეთებთ ჩვენი დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების მხარდასაჭერად?! იმ ჯარისკაცებისთვის, რომლებიც სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის და ჩვენთვის, ამ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოებისთვის დაზარალდნენ? დღეს, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, სწორედ დაჭრილ/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერაა. საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსები, სპორტულ ღონისძიებებში ჩართულობა, სამედიცინო და ორთოპედიული მომსახურება, დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების დასაქმებისა და მკურნალობის ხელშეწყობა -ეს არასრული ჩამონათვალია იმ პროექტებისა, რომელსაც თავდაცვის სამინისტრო წეროვანის სამხედრო სარეაბილიტაციო ცენტრთან ერთად დაჭრილ დაშავებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის ახორციელებს.

როგორია ცხოვრება ტრავმის შემდეგ? ვიცე პოლკოვნილი ბესარიონ ღუდუშაური სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის მნიშვნელობაზე გვესაუბრება და იმ გზას იხსენებს, რომელიც სამხედრო სამსახურში დაბრუნებისთვის გამოიარა. „2008 წლის ომში, ცხინვალის რეგიონში, ტაქტიკური გადაადგილებისას, დავკარგე კიდურები. მაშინ მეგონა, რომ ყველაფერი დასრულდა. ამ ძალიან მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის ფონზე, ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახის და სამსახურის მხარდაჭერა იყო. მე მომცეს საშუალება, გამეგრძელებინა სამხედრო სამსახური, რაც მთავარი სტიმული იყო აქტიურ ცხოვრებაში დაბრუნებისთვის. დღეს ამაყი ვარ და ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია დაინახონ ჩემმა თანამებრძოლებმა, რომ მე ჯარში დავბრუნდი და ტრავმების მიუხედავად, სახელმწიფო მაძლევს მაქსიმალურ შესაძლებლობას, სრულფასოვნად ვემსახურო ქვეყანას. ამ ბარიერების გადასალახად, თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, არაერთი პროექტი ხორციელდება. ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. ჩვენი ჩართულობა, სპორტულ ღონისძიებებში. მონაწილეობა სხვადასხვა თამაშებში, სამედიცინო დახმარების მიღება. მოხარული ვარ, რომ არსებობს ყველანაირი მზაობა და ხელშეწყობა, ჩვენი სრულფასოვანი ცხოვრების რიტმში ყოფნისთვის“ - გვიყვება ვიცე პოლკოვნიკი ბესარიონ ღუდუშაური.

დაჭრილ დაშავებული სამხედრო მოსამხაურეებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაციაა. წეროვანში, შეერთებული შტატების მხარდაჭერით, ახალი, მრავალპროფილური სარეაბლიტაციო ცენტრი შენდება. დაჭრილი სამხედროები გვიყვებიან, რომ სპორტულ აქტივობებში ჩართულობა და სხვადასხვა თამაშებში მონაწილეობის მიღება, მათთვის კიდევ ერთი სტიმულია აქტიურ ცხოვრებაში დასაბრუნებლად. პირველი ოქროს მედლები ძლიერთა თამაშებში დაჭრილმა სამხედროებმა მჯდომარე ფრენბურთში მიიღეს. ახლა, მზადება ახალი გამარჯვებისთვის დაიწყო.

ვიცე პოლკოვნიკი ალუდა სეთურიძე ჩვენთან საუბრისას, სწორედ ფიზიკური დატვირთვის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. „ბოლო დროს მივხვდი, რომ როცა რაღაცის გაკეთების სურვილი გაქვს, შედეგიც დგება. დღეს, გაცილებით დიდი სურვილი მაქვს ჩავერთო სპორტულ ღონისძიებებში. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ წეროვანის სარეაბილიტაციო ცენტრის არსებობა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ყველას მოვუწოდებ მოვიდეს, სადაც პირველ რიგში ფსიქოლოგიური დახმარებას გაუწევენ. ძალიან ემოციურია, როდესაც აქ ვხვდები იმ ადამიანებს, რომლებთან ერთადაც ვიბრძოდით. ჩვენ ყველას ერთი სულისკვეთება გვაერთიანებს“ - ამბობს ვიცე პოლკოვნიკი.

სულისკვეთება - ალბათ ამ ერთ სიტყვაშია მოქცეულია მთელი ჩვენი მებრძოლების, ჩვენი დაჭრილი სამხედროების სიდიადეც. ტრავმების მიუხედავად, მათში არ ჩამქრალა ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების სულისკვეთება, სიცოცხლის სიყვარული და რაც ყველაზე მთავარია, ქვეყნის სიყვარული... მათ ეს შეძლეს... გმირულად განაგრძობენ ცხოვრებას - ტრავმების შემდეგ...

უძლეველობის მითი რუსეთის პროპაგანდისტულ ნარატივში

რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციული კამპანიების ამოცანას ერთის მხრივ, საზოგადოების ცალკეული ჯგუფების მის ნარატივში დარწმუნება და მეორეს მხრივ, საზოგადოების ცალკეული ჯგუფების დაბნევა და მანიპულირება წარმოადგენს. საზოგადოების დაბნევისა და ეჭვის გაჩენის მიზნით, მტრული სახელმწიფო ინსტრუმენტების ნაირსახეობას იყენებს, მათ შორის ყალბი ამბების (Fake News) გავრცელებას, ისტორიული ფაქტების დამახინჯებას, სასურველი მითების გავრცელებას, ისტორიული მეხსიერებით მანიპულირებას, პრობლემის გაზვიადებას და ასე შემდეგ.

მოცემულ სტატიაში ჩვენ განვიხილავთ მითების გავრცელების ერთ-ერთ მაგალითს, რომელიც დიდი ხნის თემას - აშშ-სა და რუსეთის ძლიერების შედარებასა და შეპირისპირებას ეხება. 2017 წლის, ამერიკის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, რესპოდენტებისთვის დასმულ კითხვაზე - რომელი ქვეყანა უფრო ძლიერია სამხედრო ძალის თვალსაზრისით აშშ თუ რუსეთი? - მოსახლეობის 41%-მა რუსეთი, ხოლო 36%-მა აშშ დაასახელა. სოციალურ ქსელსა თუ სატელევიზიო სივრცეში აღნიშნული შედეგის მიზეზების შესახებ არაერთგვაროვანი მოსაზრებები გამოითქვა.
მსოფლიო პოლიტიკის შესახებ რუსული ნარატივის მიხედვით რუსეთი წარმოადგენს გლობალურ ძალას (Global Power), ერთგვარ პოლუსს, რომელიც აშშ-ს, ევროკავშირის თუ ჩინეთის გვერდით დგას. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობებში რუსეთი მუდმივად მრავალპოლარულ წესრიგზე საუბრობს, სადაც მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალების პოლუსები ქმნიან ან ცვლიან საერთაშორისო წესრიგს. შესაბამისად, ქვეყნის ძალისა და ძლიერების მაქსიმალური დემონსტრირება და მითოლოგიზირება მეზობელი თუ არამეზობელი ქვეყნების დაშინებისა და დემორალიზების მიზნით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აშკარა უპირატესობებით ვერ სარგებლობს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ძლიერების და ძალის შეფასება მეტად რთული და კომპლექსური საკითხია. მისი შეფასებისა და განსაზღვრის არაერთი მიდგომა არსებობს. ერთ-ერთი, ამ თემატიკაზე მომუშავე ცნობილი ამერიკელი მკვლევარის, ჯოზეფ ნაის თანახმად, XXI საუკუნეში ძალა/ძლიერება წარმოდგენილია პირობით სამშრიან განზომილებაში: ზედა შრეში წარმოდგენილია წმინდა სამხედრო ძალა/ძლიერება, სადაც კონვენციური სამხედრო შეიარაღება მოიაზრება; შუა შრე კი ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებს ასახავს; ხოლო ქვედა ტრანსნაციონალური შრე ყველა იმ არასახელმწიფოებრივ აქტორებს/მოვლენებს გულისხმობს, როგორიცაა ტერორიზმი, კლიმატის ცვლილება, ჯანმრთელობისთვის საზიანო დაავადებების გავრცელება და სხვა, სადაც ქვეყნის ძლიერება საერთაშორისო თანამშრომლობის მობილიზების უნარში გამოიხატება.

მოცემული მიდგომის მიხედვით, რომელიმე ქვეყნის ძლიერების სრულფასოვანი შეფასება რთულია, რადგან ამისთვის რაოდენობრივ მეთოდთან ერთად თვისებრივი მეთოდიც გამოიყენება. არსებული სტატისტიკითა და გარკვეული პარამეტრებით შესაძლებელია სამხედრო ძლიერების რაოდენობრივი შეფასება (მაგ. პირადი შემადგენლობის რაოდენობა), თუმცა საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტის შეფასება (მაგალითად აშშ-ის როლი კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმების მიღწევაში) ხშირად სუბიექტური და მიკერძოებულია.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული სირთულისა, ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ ის არსებითი განსხვავება აშშ-სა და რუსეთს შორის, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივ მონაცემებს ეყრდნობა.

ქვეყნის სამხედრო ძლიერების შეფასებისას უპირველესად ქვეყნის სტრატეგიულ რესურსებს აანალიზებენ, ისეთს როგორიცაა ფინანსური, ადამიანური, ფიზიკური და სხვა.
უფრო კონკრეტულად, თავდაცვის ბიუჯეტი, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რაოდენობა, სამხედრო ბაზებისა და ინფრასტრუქტურის მასშტაბი, სხვადასხვა შეიარაღების რაოდენობა და სხვა.

1 გრაფა	აშშ	რუსეთი
თავდაცვის ბიუჯეტი[1]	610 მლრდ.	66,3 მლრდ.
მოქმედი შეიარაღებული ძალები[2]	1,348,400 ს/მ	900 000 ს/მ
სამხედრო ბაზები ქვეყნის საზღვრებს გარეთ	35 ქვეყანა	10 ქვეყანა (მათ შორის ოკუპირებულ საქართველოში)
მოქმედი ავიამზიდი	11 ერთეული	1 ერთეული

*მოცემულ გრაფაში, არ არის წარმოდგენილი აშშ-რუსეთის ბირთვული ქობინების პარიტეტი, სადაც შემდეგი სურათია: აშშ 6,550 - რუსეთი 6,850.

[1] სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი, 2017
[2] სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი, 2018

ეკონომიკური სიძლიერის და მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, გამოიყენება ისეთი ძირითადი პარამეტრები, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ[2]), მშპ ერთ სულ მოსახლეზე (GDP per capita).

2 გრაფა	აშშ	რუსეთი
მშპ[4]	19,390,600 ტრილიონი	1,527,469 ტრილიონი
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	59,501	10,608

რაც შეეხება მესამე კატეგორიას, ტრანსნაციონალურ შრეს, აქ ორივე ქვეყანას აქვს მჭიდრო ურთიერთობები ცალკეულ ქვეყნებთან, თუმცა რაოდენობრივი თვალსაზრისით ცალსახა განსხვავებაა:

3 გრაფა	აშშ	რუსეთი
სამხედრო/პოლიტიკური გაერთიანებები	ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (29 ქვეყანა); აშშ-ავსტრალია-ახალი ზელანდიის შეთანხმება (3 ქვეყანა); სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულება (7 ქვეყანა); რიოს ხელშეკრულება (22 ქვეყანა)	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა(დსთ; 9 ქვეყანა) კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (6 ქვეყანა).
ანტიტერორისტული კოალიციები	გაეროს ანტიტერორისტული ოფისი; გლობალური კოალიცია ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ (79 ქვეყანა)	გაერო გაეროს ანტიტერორისტული ოფისი; დსთ-ს ანტიტერორისტული ცენტრი (9 ქვეყანა)

ზოგადად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მისი როლისა და რესურსების მიხედვით, აშშ-ს საერთაშორისო ჩართულობა და მნიშვნელობა კლიმატის დაცვის, ადამიანის უფლებების მხარდაჭერის, ვაჭრობის და ფინანსების საკითხებში საერთაშორისო ორგანიზაციების ქსელში რუსეთის ანალოგიურ მონაცემებს არსებითად აღემატება.
ჯამში, მოცემული ფაქტები ცხადყოფენ, რომ აბსოლუტურ რიცხვებში აშშ, თითქმის ყველა კომპონენტში უფრო ძლიერია, ვიდრე რუსეთის ფედერაცია, თუმცა რუსული პროპაგანდითა და საინფორმაციო ოპერაციებით მოსახლეობა ხშირად შეყავთ შეცდომაში. მსგავსი შინაარსის პროპაგანდისა და მანიპულაციის არაერთი შემთხვევა არსებობს: მაგალითად 2018 წლის თებერვალში, კონტროლირებად რუსულ პირველ არხზე გავიდა სიუჟეტი სირიაში გმირი რუსი პილოტის შესახებ, სადაც ვიდეო გამოსახულებად ერთ-ერთი გრაფიკული ვიდეო-თამაშის კადრია გამოყენებული.

ანალოგიური მეთოდი 2017 წელსაც იქნა გამოყენებული, როდესაც რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ აშშ დაადანაშაულა ისლამური სახელმწიფოს მხარდაჭერაში და მტკიცებულებად ერთ-ერთი ვიდეო თამაშის კადრი გამოიყენა.

რომ შევაჯამოთ, საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგი, რომლის თანახმად გამოკითხულთა უმრავლესობა აშშ-ზე უფრო ძლიერ ქვეყნად რუსეთს მიიჩნევს, განპირობებულია, როგორც რუსული პროპაგანდისტული მითების გავრცელებით, ზოგადად რუსეთის, აშშ-სგან განსხვავებით, აგრესიული საგარეო თუ სამეზობლო პოლიტიკით, ასევე იმ გარემოებით, რომ დღეისათვის რუსეთის სამხედრო შესაძლებლობები საქართველოში უფრო ხილვადია, ქვეყნის 20%-ის და პერიოდული მცოცავი ოკუპაციის გათვალისწინებით.

გიორგი კვინიტაძე – ჩემი მოგონებები

თავი II

ამიერკავკასიის რესპუბლიკა

როცა ამიერკავკასიის რესპუბლიკა შეიქმნა, ახალმა სამხედრო მინისტრმა გ. გიორგაძემ თანაშემწეობა მთხოვა გენერალ ოდიშელიძის ნაცვლად; ამ უკანასკნელის კაბინეტიდან წასვლა მთავრობის წევრმა სომხებმა მოითხოვეს. მე უარი ვუთხარი და დავუმატე, მიმაჩნია, რომ ამ თანამდებობას თავს ვერ გავართმევ და ალბათ არიან ჩემზე უფრო მცოდნე და ავტორიტეტული პირები-მეთქი. გიორგაძემ მითხრა, ბევრი ვიფიქრე და არჩევანი შენზე შევაჩერე, სამშობლოსთვის ყველაფერი უნდა იღონო, რაც შეგიძლიაო და ა. შ. ისიც მითხრა, სრულ უფლებას მოგცემ, სამხედრო უწყებაში აკეთო ყველაფერი, რასაც საჭიროდ მიიჩნევ, შეიძლება არმიის დამოუკიდებლად ორგანიზება, ნებისმიერი დანიშვნა და ა. შ.

მე მაინც უარზე ვიდექი. ბოლო რომ მომედო ამ ხანგრძლივი და დაჟინებული თხოვნისთვის, იქნებ კიდევ ერთხელ ყურადღებით გეფიქრათ თითოეულ ჩვენს მეთაურზე, ვინმესთვის გეკითხათ რჩევა; და საერთოდ, სხვებთან შედარებით ახალგაზრდა ვარ და ჩემს უმაღლეს სამხედრო პოსტზე დანიშვნის საკითხი კარგად უნდა აწონ-დაწონოთ, რომ საქმეს არ ავნოთ-მეთქი. ასე დავშორდით.

რამდენიმე დღის შემდეგ გიორგაძემ კვლავ გამომიძახა, თავისი მიწვევა გამიმეორა, მითხრა, ბევრს ვეთათბირე, საბოლოოდ გადავწყვიტე შენი დაყოლიება და, ძალიან გთხოვ, უარი აღარ მითხრაო. ისიც დაამატა, ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწის პოსტზე შეიძლება სხვა ერებმაც შემოგვთავაზონ თავიანთი, ქართველებისთვის არასასურველი კანდიდატებიო. გული მეთანაღრებოდა, მაგრამ დავთანხმდი. დავიწყე მუშაობა.

ასე დავიკავე ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწის პოსტი. კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი კვლავ გენერალი ლებედინსკი იყო. ჩვეულებრივ, 8-9 საათზე უკვე კაბინეტში ვიყავი და იქიდან მხოლოდ საღამოს 7-8 საათზე გამოვდიოდი. ნაჩქარევად წავიხემსებდი და სასახლეში, მთავრობის სხდომაზე მივეშურებოდი, რომელიც საღამოს 8 საათზე იწყებოდა. ეს სხდომები, ჩვეულებრივ, ღამის 12-1 საათზე მთავრდებოდა. მახსოვს, სხდომების მიმდინარეობისას ფანჯრებზე არაერთხელ დაუდგამთ ტყვიამფრქვევები მოულოდნელი თავდასხმისგან დასაცავად. ყოველდღე ბოლშევიკების შემოტევას ველოდით. თანამდებობა დაახლოებით პირველ მაისს ჩავიბარე, 4 თუ 5 მაისს კი, მთავრობის თავმჯდომარე ა. ჩხენკელი, როგორც ამიერკავკასიის სამთავრობო დელეგაციის თავმჯდომარე, ბათუმში გაემგზავრა თურქებთან მოსალაპარაკებლად. მთავრობის თავმჯდომარედ ნ. რამიშვილი დარჩა.

ერთ-ერთ სხდომაზე უეცრად, აღარ მახსოვს, ვინ წამოიწყო, მაგრამ შემდეგი საკითხი წამოიჭრა: იმ დროისათვის რუსული შემადგენლობის კავკასიური არმია მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაში იყო გადასული. ამიერკავკასიის არმია ყალიბდებოდა ქართული, სომხური, მაჰმადიანური კორპუსების, ბერძნული დივიზიის და გერმანული პოლკის შემადგენლობაში. ამავე დროს, გამოცხადებული იყო დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკა.

არმია, ის არმია, რომელიც კავკასიურ ფრონტზე იყო, უკვე აღარ არსებობდა; იყო მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეროვნული ნაწილები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. გამოდიოდა, რომ იყო ჯარები, რომელსაც აყალიბებდა დამოუკიდებელი ამიერკავკასიის რესპუბლიკა, და იყო ყოფილი კავკასიური არმიის მთავარსარდალი თავისი შტაბით. თან ამ უკანასკნელს თავი დიდი რუსული დერჟავის ძალაუფლების მატარებლად მიაჩნდა. საჭირო გახდა, ასე თუ ისე, ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა. და აი, მთავრობის ზოგიერთმა წევრმა – სახელდობრ, აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა, მოითხოვეს მთავარსარდლის დაუყოვნებლივ შეცვლა. სხდომაზე გადაწყდა მისი შეცვლა, აგრეთვე შეცვლა შტაბის უმაღლესი შემადგენლობისა. მე ამ სხდომიდან დამითხოვეს და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ მიმიწვიეს. გამომიცხადეს, რომ მთავრობა მნიშნავს ამიერკავკასიის არმიის მთავარსარდლად, თან მტოვებს სამხედრო მინისტრის თანაშემწედაც; და რომ ამგვარი არჩევანი ერთსულოვანი იყო. ხმა ვეღარ ამოვიღე. არც ვიცოდი, მადლობელი უნდა დავრჩენილიყავი თუ უარი მეთქვა.

ამასობაში, მთავარსარდლის შტაბში მიმდინარეობდა უფროსი მეთაურების თათბირები იმის გასარკვევად, თუ როგორ დაედწიათ თავი შექმნილი მდგომარეობიდან. ერთი მხრივ, რუსეთი შემადგენელ ნაწილებად იშლებოდა (უკრაინაც კი გამოეყო); დანარჩენი რუსეთი ბოლშევიკურად იქცა; მეორე მხრივ, კორნილოვმა და ალექსეევმა მოხალისეთა არმია შეადგინეს, მაგრამ მასთან არავითარი კავშირი არ გვქონდა. ამ თათბირების შედეგად გადაწყდა შტაბის გაუქმება, მთავარსარდალსაც შესაბამისი ბრძანება უნდა გაეცა; ოღონდ მითითებული იყო, რომ ეს ბრძანება გამოსვლამდე უნდა ყოფილიყო მოწონებული ამიერკავკასიის მთავრობის მიერ. ეს უკანასკნელი გარემოება მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე. ამ თათბირებზე, წესით, მეც უნდა მივეწვიე, როგორც ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო მინისტრი; არ ვიცი, რა მოსაზრებით არ მოიქცა ასე მთავარსარდალი. საერთოდ კი არ გამიწყვეტია კავშირი შტაბთან, ჯერ ერთი, როგორც ჯარების უმაღლეს მმართველობასთან, მეორეც იმიტომ, რომ შტაბის მაღალჩინოსნები ჩემი სიყმაწვილის ამხანაგები და თანამშრომლები იყვნენ. ჩემი დანიშვნის მეორე დღეს შტაბში შევიარე იმაზე მოსალაპარაკებლად, თუ როგორ გადამეცა საქმეები ჩემს დანიშვნასთან დაკავშირებით. იქ მხოლოდ პოლკოვნიკი შატილოვი დამხვდა. 4 საათი იყო და სამსახურში აღარავინ იყო. შატილოვმა მითხრა, მთავარსარდალი ბრძანებას ამზადებს კავკასიის ფრონტის გაუქმებაზეო; ვთხოვე, ბრძანება ეჩვენებინა. თვალი გადავავლე და მივიჩნიე, რომ ბევრი პუნქტი აუცილებლად უნდა შეთანხმებულიყო მთავრობასთან. ეს შატილოვს ვუთხარი და ვთხოვე, ბრძანების დამტკიცებას ნუ იჩქარებთ-მეთქი. მეორე დღეს ბრძანება გაზეთებში გავრცელდა, საღამოს კი, მთავრობის სხდომაზე მთავრობის ზოგიერთმა წევრმა მოითხოვა პასუხი კითხვებზე: იცოდა თუ არა სამხედრო მინისტრმა ამგვარი ბრძანების ამბავი და თუ იცოდა, რა იღონა მის შესაჩერებლად. სამხედრო მინისტრი იძულებული გახდა ეთქვა, არაფერი არ ვიცოდიო. აქვე, მთავრობის სხდომაზე, რამდენიმე წევრმა შემოიტანა წინადადება, ბრძანება დაუყოვნებლივ გაუქმებულიყო, ხოლო მთავარსარდალი და მისი შტაბის უფროსი დაეპატიმრებინათ. მე დანარჩენებს შევთავაზე, ასეთ ზომებს ნუ მივმართავთ, ჯერ მთავარსარდალს დაველაპარაკოთ-მეთქი. სამხედრო მინისტრმა გ. გიორგაძემ ამის თაობაზე წერილი მისწერა გენერალ ლებედინსკის და მთავრობის სხდომაზე მოსვლა სთხოვა. სხდომაზე მთავარსარდლის უფლებამოსილებით პოლკოვნიკი შატილოვი მოვიდა, თვითონ მთავარსარდალმა კი თავი მოიავადმყოფა. მოიავადმყოფა-მეთქი, ვამბობ, რადგან მეორე დღეს ვნახე სად-სალამათი. პოლკოვნიკმა შატილოვმა დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ მთავარსარდალს ასეთი ბრძანება უნდა გაეცა, რომ ამის უფლება ჰქონდა და რომ ბრძანების შეცვლას ან გაუქმებას შეუძლებლად მიიჩნევს. ამით ცეცხლზე ნავთი დაასხა და შატილოვის წასვლის შემდეგ საკითხი დაისვა, ყველა დაეპატიმრებინათ, რადგან არ სცნობდნენ ამიერკავკასიის მთავრობის ძალაუფლებას. დიდი ვაი-ვაგლახით დავიყოლიე მთავრობის სხდომის მონაწილეები, რომ ეს საქმე სამხედრო მინისტრისთვის მიენდოთ. მეორე დღეს სამხედრო მინისტრი მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა, მოეხელთებინა გენერალი ლებედინსკი პირადი საუბრისთვის, მაგრამ ის შინ არ ხვდებოდა. სამხედრო მინისტრმა წერილი გაუგზავნა, რომლითაც პირადი საუბრისთვის იწვევდა. ამის სანაცვლოდ ლებედინსკიმ გამოგზავნა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელშიც სიტყვა-სიტყვით იმეორებდა, რაც წინა დღეს პოლკოვნიკმა შატილოვმა განაცხადა მთავრობის სხდომაზე. რაკიდა მთავარსარდალმა ასე დაიჭირა თავი, მთავრობამ ბრძანა გენერალ ლებედინსკის ბრძანების გაუქმება. დაპატიმრებას იგი კვლავ ჩემი თავგამოდებით გადაურჩა. მე ჯარების მეთაურობა ჩავიბარე.

***

საერთო ვითარება ასეთი იყო: სომხეთის ჯარებმა უკან დახევისას დაიკავეს ალექსანდროპოლი, მათ წინააღმდეგ თურქული ჯარი იდგა. მხარეები მზად იყვნენ დასაზავებლად ამიერკავკასიის მთავრობის დელეგატებისა და თურქების მშვიდობიანი მოლაპარაკებების წყალობით. ქართული ჯარები ბათუმის მიმართულებით, ნატანებში იდგნენ, მათ წინააღმდეგ თურქები იყვნენ და აქაც თეთრი ალმები ფრიალებდა. ბორჯომშიც ფრონტი იყო. ახალციხის რაიონში თურქებმა ადგილობრივი მაჰმადიანებისგან დივიზია ჩამოაყალიბეს, რომელშიც შევიდნენ მაჰმადიანური კორპუსისთვის აზერბაიჯანელების მიერ შექმნილი ნაწილები. ამ ნაწილებმა ალყა შემოარტყეს ახალციხ-

ეს, სადაც ქართული გარნიზონი იდგა გენერალ მაყაშვილის მეთაურობით; ბორჯომიდან ჩვენი ნაწილები ვერ მიეშველებოდნენ, რადგან ორგანიზებულმა ადგილობრივმა მაჰმადიანებმა აწყურის ჩრდილოეთით დაიკავეს პოზიცია და ჩვენი მცირერიცხოვანი ჯარი მათ ვერ გაუმკლავდებოდა. აქ გენერალი არჯევანიძე მეთაურობდა. ამავდროულად მიმდინარეობდა თურქებთან მოლაპარაკება; ამან, როცა ძალა მოვიკრიბეთ, ხელი შეუშალა ჩვენს სამხედრო სარდლობას ახალციხის ფრონტზე მაჰმადიანების წინააღმდეგ შეტევაში. თურქებთან ზავი გვქონდა დადებული, მაგრამ აღარ ვიცოდით, ახალციხელი მაჰმადიანები დამოუკიდებელი ერთეული იყვნენ თუ მათთან უნდა გვეომა, როგორც თურქებთან.

უეცრად თურქებმა ზავი დაარღვიეს და ალექსანდროპოლს შეუტიეს. ადგილობრივმა მეთაურმა პირდაპირი კავშირით გამომიძახა და მკითხა, რაკი ზავი გაუფრთხილებლად დაარღვიეს, შევებრძოლო თუ უბრძოლველად დავიხიო უკანო. მე შებრძოლება ვუბრძანე. შედეგი სომეხთა ჯარისთვის სავალალო იყო – იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, ჯერ ჩარჯუის მაღლობზე, მერე კი უფრო ჩრდილოეთით. უკან დახევამ ძალიან გაუტეხა გული სომხების ჯარს. სომხური კორპუსის მეთაურმა, გენერალმა ნაზარბეგოვმა ტელეგრაფით ითხოვა დაუყოვნებლივ დაზავება. ვითარების აღწერისას მიუთითა, რომ ჯარი აღარ არსებობს, რომ კორპუსის შტაბსა და თურქებს შორის მხოლოდ დივიზიის შტაბია.

მალე ამ ამბების შემდეგ, სახელდობრ, რამდენიმე დღის მერე, ამიერკავკასია სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკად დაიშალა: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ამასობაში მთავრობამ ახალციხის ფრონტზე შეტევა გადაწყვიტა; მე ხელ-ფეხი გამიხსნეს. ბორჯომში გავემგზავრე. იქ სულ ერთი დღე-ღამე დავყავი, პოზიციების ნაწილი დავათვალიერე, მაგრამ ღამით თბილისიდან დეპეშა მივიღე – დაუყოვნებლივ დაბრუნდიო. დავბრუნდი. შეტევა გადაუფიქრებიათ.

თავი III

საქართველოს რესპუბლიკა

1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა. ამ მაგალითს სომხეთმა და აზერბაიჯანმაც მიბაძეს. ეს ვეჰიბ-ფაშას დაჟინებული მოთხოვნით მოხდა; ჩვენს დელეგაციას გადაეცა მისი ულტიმატუმი ამიერკავკასიის დელეგაციის თამჯდომარის ა. ჩხენკელისადმი – მოითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება აღიარეთო. ჩხენკელმა ჩემს სახელზე გამოგზავნა მთავრობისთვის გადასაცემი დეპეშა, რომელშიც იტყობინებოდა, აუცილებელია ხვალვე გამოვაცხადოთ საქართველოს დამოუკიდებლობა – ამ ქვეყნისთვის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება სავალდებულო აღარ იქნებაო. გამოაცხადეს კიდეც. საკუთარ ფრაქციაში ამ საკითხის განხილვისას ჟორდანიამ და წერეთელმა საწინააღმდეგო ხმა მისცეს. თურქებთან მოლაპარაკება გრძელდებოდა; საქართველო იძულებული გახდა, დათანხმებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას. ჩვენს ბელადებს ამავდროულად მოლაპარაკება ჰქონდათ გერმანელებთან, რადგან თურქები კვლავ აგრესიულად იქცეოდნენ ამიერკავკასიაში.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი დამახასიათებელი ფაქტი. ჯერ კიდევ ამიერკავკასიის რესპუბლიკის არსებობისას, ბაქო ადგილობრივმა ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელთ; თან ცნობილი გახდა, რომ ბოლშევიკური შეიარაღებული ძალის ბირთვი სომხური პოლკი იყო. ბაქოსა და სხვა რაიონებში თათრები და სომხები ერთმანეთს დაერივნენ. ამ დროისათვის მაჰმადიანური კორპუსი არ გახლდათ ჩამოყალიბებული; ქართული ჯარი ის-ის იყო იქმნებოდა.

1918 წლის გაზაფხული იდგა. ქართველებს ძალა არ შესწევდათ ბაქოსკენ დაძრულიყვნენ ამიერკავკასიის მთავრობის ტერიტორიის ბოლშევიკებისგან გასათავისუფლებლად, მითუმეტეს, რომ საჭირო იყო თურქების გამო დიდი სიფრთხილე და საომარ მოქმედებათა წარმართვა. მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ ახალციხის ფრონტსა და გაგრის მიმართულებით სომხები ჯარის მოშველიებაზე უარს ამბობდნენ – თურქეთთან საბრძოლო მოქმედებებს იმიზეზებდნენ. ასეთი ვითარება იყო. აზერბაიჯანის წარმომადგენლები მთავრობაში დაჟინებით მოითხოვდნენ ჯარის გაგზავნას ბოლშევიკებისგან ბაქოს გასათავისუფლებლად. და აი, ერთ-ერთ სხდომაზე, ამიერკავკასიის მთავრობაში აზერბაიჯანელი ხალხის წარმომადგენელმა უსუბეკოვმა განაცხადა – თუ ამიერკავკასიის მთავრობა ბაქოს დასაბრუნებლად ჯარს არ გაგზავნის, მაშინ აზერბაიჯანელები მოძებნიან "სხვა ძალას", რომელიც ბოლშევიკებს ხელიდან გამოსტაცებს ბაქოსო. საკმაოდ ნათლად იყო მინიშნებული თურქული ნაწილები და კარგად მახსოვს, თუ რა დამთრგუნველი შთაბეჭდილება დატოვა ამ განცხადებამ ამიერკავკასიის სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებზე. ამის მიუხედავად, ბაქოს საშველად ჯარი ვერ გაიგზავნებოდა. ბოლშევიკები წინ მოიწევდნენ – თბილისისკენ და ბაქოსკენ მიმავალ რკინიგზაზე სულ 200-300 კაცის გაგზავნა მოხერხდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენს ბელადებს გერმანელებთან ჰქონდათ მოლაპარაკებები საქართველოს თურქების შემოსევისგან გადარჩენის მიზნით. ამასობაში, თურქებიც წინ მოიწევდნენ.

ახალციხეში ალყაშემორტყმული გენერალ მაყაშვილის რაზმი იარაღასხმული გამოატარეს და ახალციხე თურქებს დავუთმეთ. ჩვენმა ბელადებმა ხელი მოაწერეს ახალციხის გადაცემას თურქებისთვის. ხელისმომწერთა შორის იყვნენ: რამიშვილი, გვაზავა, რუხილაძე და გენერალი ოდიშელიძე. მას მერე, რაც ქართველებმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავი სცნეს, თურქებმა მიიღეს ყარსი, არდაგანი და ბათუმი; ახლა თურქები დამოუკიდებელი საქართველოსგან ახალციხისა და ახალქალაქის დათმობას მოითხოვდნენ. აი, რატომ ითხოვდნენ ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. თურქებმა დაიკავეს ახალციხის მაზრა, ალექსანდროპოლის აღების შემდეგ კი კვლავ წინ მიიწევდნენ ჩრდილოეთისკენ და უკვე ხრამზე იყვნენ. ამასობაში, მოლაპარაკებებზე აცხადებდნენ, ჩვენი ჯარები კი არა, ადგილობრივი თათრები მოიწევენ წინო.

გერმანელების წარმომადგენელი, გრაფი შულენბურგი თანაგრძობით ეკიდებოდა ჩვენს სურვილებს და როცა გაიგო, რომ ვეჰიბ-ფაშამ კატეგორიულად განაცხადა, თურქეთის ჯარის ნაწილები კი არა, ადგილობრივი მოსახლეობა მოიწევს წინო, დაგვთანხმდა თავისი ჯარით დაგვხმარებოდა "მოსახლეობის" დაშოშმინებაში. პირადად მე ვაჩვენე გრაფ შულენბურგს ვეჰიბ-ფაშას მიერ ჩვენი მთავრობის სახელზე გამოგზავნილი დეპეშა, სადაც ნათქვამი იყო, ამა და ამ პარალელის ჩრდილოეთით თურქული ჯარი არ იმყოფებაო.

და აი, ჩამოვაყალიბე რაზმი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა არმიის ერთი ბატალიონი, გვარდიის ერთი ბატალიონი მახარაძის ბატარეით და გვარდიის ცხენოსანთა დივიზია; ამ რაზმის შემადგენლობაში იყვნენ აგრეთვე ერთი გერმანული – ბავარიელ ეგერთა - ბატალიონი და გოგუაძის დაჯავშნული მატარებლები. რაზმის მეთაური იყო პოლკოვნიკი სტეფანე ჩხეიძე. შეტევა წარმატებით დასრულდა თურქული ნაწილები სანაინის იქით გადავრეკეთ, ყაზახისკენ მიმავალი მათი ფორანიც კი ჩავიგდეთ ხელთ. ამ ბრძოლისას ავიღეთ ხრამის ხიდი, რომელზეც პირველებმა ჩვენი ახალგაზრდა არმიის ბატალიონებმა გადაირბინეს. ბრძოლის წინ ქართველებს ვუთხარი, გერმანელებთან თავი უნდა გამოვიჩინოთ და ხრამის ხიდი მათზე ადრე აიღოთ-მეთქი. ქართველებიც მოწინააღმდეგის მიერ გამაგრებულ ხიდს ერთბაშად მიაწყდნენ. მერე გერმანელები ამბობდნენ, ქართველები კი გულადები არიან, მაგრამ ბრძოლა არ იციანო. ეს ბუნებრივიც იყო: ქართული ბატალიონები ახალგაზრდა მოხალისეებისგან შეიქმნა, რომლებმაც ის-ის იყო ისწავლეს იარაღის ხმარება. მერე, დევნისას, გოგუაძე სანაინის სადგურში შევარდა და ათასობით თურქს დააყრევინა იარაღი. ტყვედ ჩავარდნილი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი თურქი ოფიცერი ვაგონში მომგვარეს და თბილისში ჩამოვიყვანე იმის დასტურად, რომ ბრძოლის ველზე თურქული ჯარის ნაწილები იყო. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძოლაში დაღუპული შვიდი გერმანელი დიდი პატივით დაკრძალეს თბილისში.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი გარემოება. საბრძოლო მოქმედებების დროს შელაპარაკდნენ რაზმის ხელმძღვანელობა და გვარდიის ბატალიონის უფროსობა. არადა, იმავე ხელმძღვანელობასა და გერმანელებს შორის არავითარი გაუგებრობა არ მომხდარა. მე პირადად მომიწია ჩასვლა ამ უთანხმოების მოსაგვარებლად, ვინაიდან გვარდია, მაშინაც და შემდგომშიც, დიდი გაჭირვებით ემორჩილებოდა სამხედრო ხელმძღვანელობას. გარდა ამისა, მაშინ რაზმის უფროსს ვუბრძანე, სიმტკიცე გამოეჩინა ადგილობრივ მოსახლეობასთან დამოკიდებულებაში და მათთვის იარაღი ჩამოერთმია. მოვითხოვე, თუ იარაღის ჩაბარებაზე უარს იტყოდნენ, საარტილერიო ცეცხლი გამოგვეყენებინა და ძალით მიგვეღწია ჩვენი მოთხოვნის აღსრულებისთვის. იქ მყოფი ვალიკო ჯუღელი შეეწინააღმდეგა ამგვარ მოქმედებას. შემდგომ "მძიმე ჯვარში" აღწერა ეს მოვლენები და ჩემზე თქვა: "გენერალი კვინიტაძე მოითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ უმკაცრესი ზომების გამოყენებას, მაგრამ ჩვენ მისი "გულმოდგინება" დავაცხრეთ". არავითარი "გულმოდგინება" არ ყოფილა; საკუთარი წარმოსახვით და, როგორც ჩანს, კაზმული სიტყვისთვის ჩვენმა ვაი-მწერალმა "გულმოდგინება" დაარქვა იმას, რაც უნდა მოემოქმედა ყველა მეთაურს იარაღით მებრძოლი მოსახლეობის მიმართ. მოგვიანებით მისი "მძიმე ჯვარი" ეფექტურად გაამასხრა ადგილობრივმა პრესამ. ვალიკო ჯუღელს კარიკატურაზე ვეება ჯვარი წამოეგდო ზურგზე. ქვემოთ მიწერილი ჰქონდა: "სად მიგაქვს?" იქვე იყო პასუხიც: "ბრძოლის" რედაქციაში". "ბრძოლა" სოციალ-დემოკრატიული გაზეთი გახლდათ.

სადახლოს რაიონის ადგილობრივი მემამულეები შემომჩიოდნენ, გვარდიის ბატალიონი გვძარცვავსო. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: გვარდიის ორგანიზაციის და არმიის ნაწილების პირველივე ერთობლივ ღონისძიებას მოჰყვა ამ ორი, სულისკვეთებითა და ცხოვრების წესით სრულიად განსხვავებული ორგანიზაციის უთანხმოება. ძარცვა-გლეჯა კი უდისციპლინობის ბუნებრივი შედეგია. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, ვაცნობე მთავრობას, მაგრამ ყველაფერმა უკვალოდ ჩაიარა და არავითარი გავლენა არ იქონია იმის გადაწყვეტისას, შეიარაღებული ძალის რომელი ორგანიზაცია უნდა მიგვეღო – გვარდიული თუ არმიული. ერთი სიტყვით, გერმანელები დაგვეხმარნენ. მათი თანაგრძნობის დამადასტურებელი კიდევ ერთი ფაქტი მინდა აღვნიშნო. როგორც ცნობილია, ჩვენს ბელადებს მოლაპარაკება ჰქონდათ გერმანელებთან, მათთან ხელშეკრულება დადეს; ამავდროულად, თურქებთან მოლაპარაკებისას უნდა მიეღოთ ბრესტ-ლიტოვსკის ზავი. თურქებთან ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, მათი ეშელონები ჩვენს ტერიტორიაზე უნდა გაგვეტარებინა. ახლა კი თურქებმა ეშელონების ბაქოსკენ გატარება მოითხოვეს. მთავრობის მიზნებს სულაც არ შეესაბამებოდა თურქების ეშელონების ჩვენს ტერიტორიაზე გავლა; რამენაირად უნდა გამოგვენახა საშუალება ამის თავიდან ასაცილებლად. ამასობაში, გერმანელებთან მოლაპარაკებისას გადაწყდა გერმანელი სამხედრო ტყვეებისგან შემდგარი საგუშაგო ჯგუფების დაყენება რკინიგზის გაყოლებით, ყველა ბოლო სადგურსა და ზოგიერთ ცენტრალურ სადგურზე. ეს ჯერ კიდევ ბავარიული ბრიგადის მოსვლამდე მოხდა. როცა თურქული ეშელონი ნატანებს მოადგა და გაშვება მოითხოვა, აღარ ვიცოდით, რა გვეღონა. დანარჩენებს შევთავაზე, იქნებ გერმანელებს ვთხოვოთ დახმარება-მეთქი. მერე მათ წარმომადგენელს, გრაფ შულენბურგს მივმართე და შევთავაზე: ნატანებში ადგილობრივი ქართველი მეთაური გამოუცხადებს თურქული ეშელონის უფროსს, რომ ქართული მთავრობა არ დააბრკოლებს ეშელონის გაშვებას; მერე გერმანული საგუშაგოს უფროსი თურქული ეშელონის უფროსს განუცხადებს, ეშელონი გზას ვერ გააგრძელებსო და იმას მოიმიზეზებს, რასაც გერმანული ხელმძღვანელობა მიიჩნევს საჭიროდ. ასეც მოხდა და თურქული ეშელონი იძულებული გახდა ბათუმში დაბრუნებულიყო. თუ არ ვცდები, გერმანელებმა განაცხადეს, გზა მოუწესრიგებელიაო; თუმცა დანამდვილებით ვერ ვიტყვი, აღარ მახსოვს. მაშინ ეს სულაც არ მაინტერესებდა, მთავარი ის იყო, რომ თურქები არ

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქართველმა სამხედროებმა 5 ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს

საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის კაპრალ-სპეციალისტმა გოჩა ნონაშვილმა 4 ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. ავტოსაგზაო შემთხვევა სოფელ იგოეთთან მოხდა. სამხედრო მოსამსახურემ, რომელსაც პირველადი სამედიცინო დახმარების კურსები შეიარაღებულ ძალებში ჰქონდა გავლილი, მძიმედ დაშავებულ მგზავრებს სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მისვლამდე, პირველადი კვალიფიციური დახმარება აღმოუჩინა. სამხედრო მოსამსახურეს საქართველოს თავდაცვის მინისტრი შეხვდა და გამოჩენილი გულისხმიერებისთვის მადლობა პირადად გადაუხადა და ერთჯერადი ფულადი პრემიით დააჯილდოვა.

III ქვეითი ბრიგადის 32-ე ქვეითი ბატალიონის მეტყვიამფრქვევემ, I კლასის რიგითმა, გოგა გოგლიჩაძემ კი ქალაქ ქუთაისში მდინარეში გადახტომის დროს მამაკაცი შენიშნა. მისი გადარჩენის მიზნით, ჯარისკაცი წყალში შევიდა და მაშველების მისვლამდე მას დახმარება აღმოუჩინა.

გოგა გოგლიჩაძეს საქართველოს თავდაცვის მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი შეხვდნენ. ლევან იზორიამ და გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ მას გმირული საქციელისთვის მადლობა გადაუხადეს, წარმატებები უსურვეს და „გლოკის“ ტიპის სამსახურებრივ-საშტატო იარაღით დააჯილდოვეს.

ქართველი მშვიდობისმყოფელის დღე

31 აგვისტოს ქართველი მშვიდობისმყოფელის დღე აღინიშნება. საერთაშორისო მისიებში მყოფ სამხედროებს ეს დღე წელსაც თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ გენერალური შტაბის მართვის ცენტრიდან მიულოცეს. თავდაცვის მინისტრმა ავღანეთში, მალიში და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში დისლოცირებულ მშვიდობისმყოფელებს ტელეხიდის საშუალებით მიმართა და მათგან ადგილზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ქართველ სამშვიდობოებს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

მართვის ცენტრიდან თავდაცვის მინისტრმა და გენერალური შტაბის უფროსმა თავდაცვის სამინისტროს ეზოში გადაინაცვლეს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებსა და სამშვიდობო ოპერაციებში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს. ლევან იზორია და ვლადიმერ ჩაჩიბაია „არმიჰოლში“ შეკრებილ საერთაშორისო მისიებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებს შეხვდნენ და მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადეს. ღონისძიების ფარგლებში თავდაცვის მინისტრმა ქართველ მშვიდობისმყოფელს, ავღანეთის მისიაში ორჯერ მყოფ კაპიტან ზოია კურტანიძეს ქართველი მხატვრის, ნიკო ცეცხლაძის ნახატი - „სიმამაცე“ საჩუქრად გადასცა. ნახატი „მხატვრები მშვიდობისათვის“ პროექტის ფარგლებშია შესრულებული და მასზე მხატვარს, სწორედ ქართველი ოფიცერი ქალი, კაპიტანი ზოია კურტანიძე ჰყავს ასახული, როგორც სიძლიერისა და სიმამაცის სიმბოლო.

31 აგვისტო მშვიდობისმყოფელის დღედ 2016 წელს თავდაცვის მინისტრის, ლევან იზორიას გადაწყვეტილებით დაწესდა. 18 წლის წინ, 1999 წელს, პირველი ქართული სამშვიდობო ოცეული კოსოვოში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად, სწორედ ამ დღეს გაემგზავრა.

პიანისტმა დავით ალადაშვილმა სამხედროებისთვის კლასიკური მუსიკის კონცერტი გამართა

ჯულიარდის კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა პიანისტმა, დავით ალადაშვილმა, სპეციალურად სამხედრო მოსამსახურეებისთვის კლასიკური მუსიკის კონცერტი გამართა. საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ძალების აღმოსავლეთ სარდლობის I ქვეითი ბრიგადის სამწყობრო მოედანზე, მოძრავ სცენაზე დამონტაჟებულ პიანინოზე ბახის, შოპენის, შუმანისა და ქართველი კომპოზიტორების ცნობილი ნაწარმოებები შეასრულა. კონცერტის ორგანიზატორებმა ამ სახით ქვეყნის სამსახურში მყოფი ჯარისკაცების მიმართ მადლიერება გამოხატეს.

ჯარისკაცებისათვის კონცერტი დავით ალადაშვილმა მუსიკალური ტურნე - „პიანინოს“ ფარგლებში ჩაატარა. კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, ქართველმა პიანისტმა, კომპანია „ახალგაზრდები ახალგაზრდებისთვის“ და კომპანია „მაგთიმ“ საქართველოს მასშტაბით რეგიონული ტურნე გამართეს. დასკვნითი კონცერტი, 22 სექტემბერს თბილისში გაიმართება.

თავდაცვის მინისტრი უკრაინის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ აღლუმს დაესწრო

24 აგვისტოს უკრაინა დამოუკიდებლობის 27-ე წლისთავს აღნიშნავს. უკრაინის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმს საქართველოს თავდაცვის მინისტრი დაესწრო. ლევან იზორიამ უკრაინის პრეზიდენტს პეტრო პოროშენკოს დამოუკიდებლობის დღე პირადად მიულოცა.

აღლუმში მონაწილეობა საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებმაც მიიღეს. ეროვნული გვარდიის მედროშეებმა კიევის ცენტრალურ გამზირზე საქართველოს სახელმწიფო დროშით ჩაიარეს.

„საერთო გამოწვევების წინაშე ვდგავართ, გვაქვს საერთო ამოცანები, ჩვენს მეგობრობას, სტრატეგიულ კავშირებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უკრაინელ ხალხს სტრატეგიული ამოცანების წარმატებით განხორციელებას ვუსურვებ“, - ამ სიტყვებით მიულოცა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა უკრაინელ ხალხს დამოუკიდებლობის დღე.

სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობას ახალი მეთაური ჰყავს

სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლად პოლკოვნიკი ალექსანდრე კიკნაძე დაინიშნა. სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლისთვის საბრძოლო დროშის გადაცემის საზეიმო ღონისძიება ვაზიანის მე-4 მექანიზებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე გაიმართა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ შეკრებილ პირად შემადგენლობას სიტყვით მიმართა და ქართველი სამხედრო მოსამსახურეების პროფესიონალიზმზე გაამახვილა ყურადღება. უწყების ხელმძღვანელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის მიერ ქართველი სამხედრო მოსამსახურეების შესახებ გაკეთებულ შეფასებას გამოეხმაურა, სადაც ის აცხადებს, რომ დღეს საქართველოს შეიარაღებული ძალები გაცილებით გამოცდილი, კარგად გაწვრთნილი, კარგად აღჭურვილი და უფრო თავსებადია, ვიდრე 10 წლის წინ.

მან ყოფილ აღმოსავლეთ სარდალს ბრიგადის გენერალ შავლეგო ტაბატაძეს გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და ახლად დანიშნულ სარდალს, პოლკოვნიკ ალექსანდრე კიკნაძეს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა. პოლკოვნიკი ალექსანდრე კიკნაძე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 1991 წლიდან მსახურობს.

მრავალეროვნული სამხედრო სწავლება „AGILE SPIRIT 2018“ დასრულდა

სენაკში, II ქვეითი ბრიგადის ბაზაზე, საერთაშორისო სამეთაურო-საშტაბო სწავლების „Agile Spirit 2018“-ის დახურვის ცერემონიალი გაიმართა. მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებაში ნატოს წევრი და პარტნიორი 10 ქვეყანა მონაწილეობდა.

სამეთაურო-საშტაბო სწავლების დახურვას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია, სამხედრო ატაშეები და ადგილობრივი ხელისუფლების წამომადგენლები დაესწრნენ.

სწავლების დახურვის ცერემონიალი საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულებით დაიწყო, რის შემდეგაც საბრძოლო მოქმედებებში და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

ღონისძიების ფარგლებში მრავალეროვნულ სამხედრო სწავლებაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების დაჯილდოების ცერემონიალიც გაიმართა. გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ „Agile Spirit 2018“-ში მონაწილე 13 სამხედრო მოსამსახურე სწავლებაში შეტანილი წვლილისთვის უწყებრივი მედლით „გენერალი კვინიტაძე“ დააჯილდოვა. სწავლების მეთაურმა, გენერალმა გიორგი მათიაშვილმა კი, სწავლების დაგეგმვასა და აღსრულებაში შეტანილი წვლილისთვის შეიარაღებული ძალების ორ სამხედრო მოსამსახურეს საშტატო იარაღი, ხოლო ხუთ სამხედრო მოსამსახურეს უწყებრივი მედლები „გენერალი მაზნიაშვილი“ გადასცა.

სამეთაურო-საშტაბო სწავლება კომპიუტერული სიმულაციური სისტემების (JCATS/MTWS) მხარდაჭერით, ძალების მიზიდვის გარეშე განხორციელდა. სწავლებას მხარს უჭერდნენ: „ნატო-საქართველოს შეფასების ერთობლივი ცენტრი“ (JTEC), სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობა, სპეციალური ოპერაციების ძალები, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვა. სწავლება საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ევროპული სარდლობის ლიდერობით განხორციელდა. საერთაშორისო სამეთაურო-საშტაბო სწავლება „Agile Spirit 2018“ საქართველოში მერვედ გაიმართა.

„Agile Spirit 2018“ მიზანად ისახავს ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულების დროს, რეალურ დროში და მრავალეროვნულ გარემოში, ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში ერთობლივ ოპერაციებში ან კრიზისებზე რეაგირებისათვის მზადყოფნის მიზნით, ბრიგადის დონეზე სამეთაურო-საშტაბო სწავლების დაგეგმვას და ჩატარებას, ურთიერთთავსებადობის დახვეწას, სწავლებაში მონაწილე ქვედანაყოფებისა და სამეთაურო რგოლის ოპერატიული შესაძლებლობების გაუმჯობესებას.